

ეროვნული საბჭო

სტენოგრაფიული ანგარიში

43 სხდომა

სამშაბათი, ოქტომბრის 1, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნაკოლაო ჩხეიძე.
მდიუნობს დავით ოსიაშვილი

პრეზიდიუმში არიან თავმჯდომარის ამხანაგნი: იესე ბაჩიაშვილი
კვთაძე თაყაიშვილი
მდიუნის ამხანაგი ოსკებ აბაჯელიძე
კრება იწყება ნაშუადღევს 12 ს. და 35 წ.

თავმჯდომარის მისალმებითი სიტყვა

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ.

მოკლოაქნო, ეროვნულ საბჭოს წევრნი დღეს, ჩვენ კანონმდებელთა კრებულს შემოუერთდენ საქართველოს დამოუკიდებელ ტერიტორიის ერთა უმცირესობის წარმომადგენელნი.

მე უნდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და გამოვსთქვა სურვილი და იმედიც, რომ ეს ახალი ძალა გაუადვილებს ჩვენ ნორჩ პარლამენტს იმ მძიმე საქმეს, რომელიც მას დაეფალა ისტორიამ და გარემოებამ. ჩვენ ნათლად ვხედავთ სოლიდარულ მუშაობის აუცილებელ საქიროებას ყველა ერთა შორის, რომელნიც ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე,

დღეს ეს საქიროება თვალსაჩინო შეიქმნა ჩვენთვის, რასაკვირველია, გარდა იმათისა, ვინც დღემდის მტრულის თვლით უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. დღეს, მეთქი, მოგახსენებთ, იმიტომ რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა უფრო გართულებული და თუ გნებავთ, სახიფათოცაა, ვინემ ეს იყო გუშინ.

თუ წინასწარმეტყველობა არაფინ დაიჩემა, უნდა სთქვას კაცმა, რომ ჩვენ არ ვიცით უახლოვდებით თუ არა ჩვენ, და მთელი კაცობრიობა, იმ მომენტს, როდესაც უნდა შესწყდეს სისხლის ღვრა.

შოლოდ ჩვენ ერთი შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებაში ხდება რალაც ვგარი ცვლილება. ვერ ვიტყვით, რამდენად არსებითი არის, და მნიშვნელოვანი ეს ცვლილება, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ცვლილება არის სიმპტომატური. და ეს ხასიათი ამ ცვლილებისა, დიდია თუ პატარა ეს ცვლილება, გვეუბნება ჩვენ, რომ ჩვენს მდგომარეობას, კიდევ უფრო ართულებს, რასაც, მაშასადამე, ჩვენ და ჩვენმა საკანონმდებელთა ორგანომ, ანგარიში უნდა გაუწიოთ.



შინაგან ცხოვრებაში ჩვენ, შედარებით, ჩვენს თავს უკეთესად ვაჩვენებთ ვიდრე სხვა კლასებში, მაგრამ, აქაც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენს მდგომარეობა დღეს კიდევ უფრო რთულია, ვინემ იყო ამას წინეთ, გუშინ, თუნდა ერთი კვირის წინედ.

ამის მიზეზები ბევრი გახლავთ, მაგრამ, მე უნდა ხაზი გაუსვა დღეს ერთ მიზეზს, რომელიც ჩვენ საფრთხეს ართულებს, ეს არის ის ბოროტება, რომელსაც სწადიან ის პირნი, და ჯგუფნი, რომელნიც ჩვენ დამოუკიდებლობას, დღემდის, მტრულის თვალით უყურებენ, და ეროვნებათა შორის ამ ნიადაგზე სთესვენ ღვარძლსა და უნდობლობას.

ასეთი არის ჩვენი მდგომარეობის საფრთხე, და სიმძიმე.

ასეთ პირობებში, ყოველივე ძალი, რომელიც ჩვენ მოგვემატება, და გავგაიძვილებს ჩვენ, ჩვენის საქმის რაიმე ნაწილის შესრულებას— ასეთ ძალებს ჩვენ, რასაკვირველია, მივესალმებით, და ვისურვებთ, რომ ეს ძალი შეუერთდება ჩვენს ძალებს და გასწევს ისეთ მუშაობას, რომელიც განამტკიცებს და განამკვიდრებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, და წარმართავს საქმეს ხალხთა ინტერესების და ცნისა და მათ სოლიდარობასაც. (მხურვალე ტაში).

დ. დავითხანიანის სიტყვა.

დავ. დავითხანიანი. (დაშნ.). მოქალაქენო, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრნო!

ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, ქართულ ენის ხუსტ ცოდნისთვის.

სომხის ერის წარმომადგენლებმა—დაშნ., სოც. რევ., სოც. დემ. და ხალხის თავისუფლების პარტიის წევრებმა, დამავალეს მე ორიოდვე სიტყვა წარმოვსთქვა.

მე შინდა ეს მოვალეობა, ქართულ ენაზე ავასრულო.

დიდ მადლობას მოვახსენებ ჩვენს პატივცემულ თავმჯდომარეს იმ სალამისათვის, რომელიც მან გვიძღვნა. მართალია, ჩვენ გახლავართ სომხურ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი, მაგრამ მოვსულვართ აქ არა მარტო ჩვენი ნაციონალურ—კულტურულ ინტერესების და აცხვად. არამედ აგრეთვე თქვენთან ერთ უღელში შესამბველად და ჩვენი პატარა, თავისუფალ სამშობლოს—საქართველოს სასარგებლოდ შრომისთვის, (მხურვალე ტაში).

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ჩვენს საქართველოს მცხოვრებთა ყველა ერის ინტერესები ერთი გახლავთ, და ყველა ერთ აქ თანასწორი იქნება. (ტაში).

ჩვენი, ამომრჩეულები, საქართველოს მოქალაქეები, რომელნიც სარგებლობენ თავისი პოლიტიკურ უფლებით, აგრეთვე აასრულებენ თავის მოვალეობას—როგორც გარეშე, ბრძოლის ველზე, ისე შინ, ორგანიულ მუშაობის ასპარეზზე. (ტაში)

კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ ჩვენ პატივცემულ თავმჯდომარეს. (თითქმის მთელი საბჭო, მე მარჯვენეთა გარდა, ფეხზე მდგომი, ხანგრძლივი და მხურვალე ტაშით აცილებს, ტრიბუნიდან მომავალ ორატორს.)

თავმჯდომარე. საბჭოს წევრი ბ. ამირჯანი უკაცრავად... ვთხოვ მდივანს საიკითხოს დღიური წესრიგი.

მდივანი. (კითხ.) ცნობა კომისიებში გადასცემ კანონპროექტებისა.



1. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი ათი მილიონის ფონდით და დაწესებული ხარჯების დამტკიცებისა და ამ ფონდის აღდგენის გადაეცეს საფინანსო კომისიას.
2. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი სახელმწიფო გადასახადების შეკრების ვადის გაგრძელების შესახებ გადაეცეს საფინანსო კომისიას.

დღიური წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი საქართველოს სახელმწიფო ენის კანონისა. მომხსენებელია საბჭოს წევრი შალვა ამირჯანიძე.
2. კანონ-პროექტი დამატებითი ჯამაგირის დაწესებისა ტფილისში არჩეულ მოპრივებელ მოსამართლეს, იმათ მდივანთა და თარჯიმანთათვის და დამატებითი ფულის მიცემისა საქანცელთარხო ხარჯისათვის იმავე მოსამართლეთა საჭიროებისათვის. მომხსენებელია საბჭოს წევრი ნიკოლოზ ქარცივაძე.
3. კანონ-პროექტი იაკობ ნიკოლაძისათვის გასამრჯელოდ 3000 მან. მიცემის შესახებ. საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის. მომხსენებელია საბჭოს წევრი დავით მხიაშვილი.
4. საბჭოს წევრის ილიქანდრე ახმეტელის შთაერობისადმი შეკითხვა პურისა და სანაოჯაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოკიდებულებისა და რესპუბლიკის შთაერობის წინააღმდეგ. იაკობ ამირჯანიძე. აქ, წესრიგში, დღეს ვრთი, სიკითხი მოისხნა, რადგანაც საქორად ვნახედ, რომ შემდეგ სხდომაზე გარჩეულიყო ეს. (საბჭო ამტკიცებს წესრიგს უცვლელად). საბჭოს წევრი ნიკოლოზ ამირჯანიძე.

საბოლოო ტექსტი სახელმწიფო ენის კანონისა.


შალვა ამირჯანიძე (ერ. დემ.) ბატონებო, ეროვნული საბჭოს წევრო! დადგენილება სახელმწიფო ენის შესახებ, იმ სახით, რომელიც მიიღო ეროვნულ საბჭომ, წარსულ კრებაზე—წოდებულა ია დებულებად. სარედაქციო კომისიამ საუკეთესოდ დაინახა, რადგანაც ეს დადგენილება უნდა შევიდეს ძირითად კანონში, რომ მას ეწოდოს „კანონი“, იმიტომ რომ სიტყვა „დებულება“, სხვა კანონებშიაც შეცვლილია „კანონად“.

კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა.

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.
შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვა და სხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრება.
საბჭოს მიერ მიღებული ტექსტი ასეთი იყო:

დებულება საქართველოს სახელმწიფო ენისა.

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა



შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება კალაქის კანონით განისაზღვრება.

ჩვენ ჩაუმატედ წინადადება: სხვა და სხვადა დაწესებულებაში.
მუხლი მე 2-ე.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია (კითხულობს):
2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა ქართულ ენაზედ.

ჩვენ შევცვალეთ:
2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულს ენაზედ,
მუხლი მე 3-ე.

საბჭოს მიერ მიღებული ტექსტი ასეთია:
3. სახელმწიფო ენის უნოდინაობის გამო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედაენაზედ.

შენიშვნა: წესი ენით სარგებლობასა და თარგმანის განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც იმუშავებს საბჭო.

სარედაქციო კომისიამ ამ მუხლში მხოლოდ სტილისტური შესწორებანი მოახდინა. მთელი მუხლი შენიშვნით ასეა მიღებული:

3. ეროვნულ გმადრესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედაენით.

შენიშვნა: წესი ენის ხმარებასა და თარგმანის განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

კანონ-პროექტი დამატებითი უამაგირის დაწესებისა ტფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლეს მათ მდივანთა და თარგმანთათვის და დამატებითი ფულის მიცემისა საქანცელარიოზ ხარჯისთვის იმავე მოსამართლეთა საჭიროებისათვის.

თავმჯდომარე. ეს ნებავე სიტყვა ამის შესახებ? მაშასადამე, სარედაქციო შენიშვნები მიღებული გახლავთ.

შემდეგი კანონ-პროექტი მომხსენებელია საბჭოს წევრი ნიკოლოზ ქარცივაძე.

ნიკოლოზ ქარცივაძე. (ფლიონელი). ბატონებო! ჩვენ უნდა განვიხილოთ დღეს ერთი პატარა კანონპროექტი, რომელიც წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს მიერ. ეს კანონპროექტი შეეხება ტფილისში არჩეულ 2 მომრიგებელ მოსამართლეებს და მათ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეს კანონპროექტი დიდი ხანია შემოტანილია ეროვნულ საბჭოს კანცელარიისაში, მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, მხოლოდ დღეს მოხვება ეროვნულ საბჭოს დღიურ-წესრიგში შეტანა. როგორც მოგახსენებთ, ბატონებო, 15 ივნის 1912 წ. რუსეთში გამოვიდა კანონი, ადვილობრივ სისამართლოების გარდაქმნის შესახებ. ეს კანონი ცოტაოდენ ცვლილებით, და დამატებით, ამიერ-კავკ. კომისარიატის დადგენილებით 1917 წ. 21 დეკ. გავრცელდა ამიერ-კავკასიაზეც. იუსტიციის სამინისტროს კომისარიატმა ბრძანება გამოსცა, რომ მომრიგებ. მოსამართლეების არჩევნები უნდა მომხდარიყო, არც დადგება ხელსაყრელი პირობები ამისთვის. მაგრამ, ჩვენ ვიცით კარგათ, რომ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ მიზეზების გამო, ეს არჩევნები



არ შობდა, და არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეების რუსტიკულ ცხოვრებაში გატარება—ვერ მოხერხდა.

შოლოდ ქ. თფილისში 1918 წ. 13 თებერვალს გაიხსნა 2 კამერა, არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა, და ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა, რომ ამ ორ მომრიგებელ-მოსამართლეს დაეკისროს გარჩევა იმ საქმეებისა და საჩივრებისა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ბინების დაქირავებასთან.

ამაირად, 1918 წ. 13 თებ., მომრიგებელ-მოსამართლეების როლს თფილისში ასრულებდნენ ორი კატეგორია მოხელეებისა. ერთის მხრივ მთავრობისგან დანიშნულ მომრიგებელი-მოსამართლე, და მეორეს მხრივ 2 მოსამართლე, რომელთაც განსაკუთრებული სპეციალური მისია აქვთ.

როდესაც ეს 2 მოსამართლე აირჩიეს, მხედველობაში მიღებული იყო მათი შრომა, საპატიო მდგომარეობა, ცხოვრების ეკონომიური პირობები, და ნაცვლად არსებულ ჯამაგირისა, დაენიშნათ მათ ჯამაგირი 3600 მანეთი. დანიშნულ მოსამართლეებს ქონდათ 2800 მანეთი წლიურად. როგორც მოგახსენეთ, 3 მარტს გამოვიდა კანონი, რომელმაც გააუმჯობესა ყველა მოხელეების მდგომარეობა ნიეთიერად. და ამ კანონმდებლობის ძალით, დანიშნულ მოსამართლეებს ჯამაგირი აქწიათ 2800 მ-დან—6000 მ-მდე წლიურად. რაც შეეხება არჩეულ მოსამართლეებს—მათი ჯამაგირი დარჩა ძველი—3600 მ. ამ უსამართლობის გასწორება შეიძლება ორი გზით: ან 3 მარტ. კანონი არჩეულ მოსამართლეებზე მექანიკლურად გავრცელდეს,—ანდა ცალკე კან.—პროცესის გამოკრებით. პირველი გზა სხვა და სხვა ეკონომიურ მოსაზრების გამო შეუძლებელი შეიქმნა ამიტომ ოუსტიც. სამინისტრო შემოვიდა კანონპროექტით, და თხოულობს: 1 მარტიდან 1 სექტემბრამდე 2 მოსამართლე შევიდნენ იმ 22 მოსამართლეების რიცხვში რომელიც თბილისისთვის არას ნაფარაუდღევი. და იუსტიციის სამინისტრო თხოულობს, რომ ამ 2 მოსამართლეს, და მათთან მოსამსახურე პირებს, მდივნებს, თარჯიმანებს, და სხვებს—მიეცეს დამატებით ჯამაგირი. აი ეს მოკლე ისტორია ამ კანონპროექტისა. თითონ კანონი შეიცავს 5 მუხლს. თუ ნუბას მომცემთ წავიკითხავ.

კ ა ნ ო ნ შ რ ო ე ქ ტ ი .

დროებით დამატებით ჯამაგირის დაქსეპისა ტფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლეს, ამათ მდივანთა და თარჯიმანთათვის და დამატებითა ფულის მიღებისა საქსტეგადარაო ხარჯისათვის ამავე მოსამართლეთა საქმიანობისათვის.

1. მიეცეს დამატებით ჯამაგირი ტფილისში ორ არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეს ექვსი თვისა 1 მარტიდან 1 სექტემბრამდე 1200 მან. ხოლო მათ მდივნებს და თარჯიმანებს 1150 მან.

2. მიეცეს საკანცელარიო ხარჯისათვის მომრიგებელ მოსამართლეს იმავე ექვსი თვისა, ტფილისში 5.950 მან. თითოეულს, გარდა იმ უფლისა, რომელიც ეძლეოდა მათ ამ საგნისათვის თანახმად 1917 წ. 31 დეკემბრის ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილების დამატებისა.

3. ამა წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნულ მოსამართლეთა შიგნით და თარჯიმანთა მიეცეთ ჯამაგირად და სხვა ხარჯებისათვის თანახმად 24 სექტემბრის კანონისა სამოსამართლო ინსტიტუტისა.

4. ტფილისის ორ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლესა, მათ შიგნითა და თარჯიმანთა დროებითი დამატებითი ჯამაგირის გასასტუმრებლად და აგრეთვე საკანცელარიო ხარჯის დასაფარავად დამატებით გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ამა 1918 წ. 1-მარტიდან ვიდრე 31 აგვისტომდე კრედიტი 16.600 მან. 61 7 8101

5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

თავმჯდომარე. ვის ნებავეს სიტყვა ამ კანონპროექტის შესახებ? არავის, ვინ არის წინააღმდეგი, რომ ეს კან. პროექტი მუხლობრივ იყოს განხილული? არავინ. ვთხოვთ კიდევ წაიკითხოთ მუხლობრივ მომსახურებელს (კითხულობს პირველ მუხლს)

1. მიეცეს დამატებითი ჯამაგირი ტფილისში ორ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეს ექვსი თვისა მარტის 1-დან სექტემბრის 1-ე 1200 მან. ხოლო მათ შიგნით და თარჯიმანებს 1150 მან.

თავმჯდომარე. ვის ნებავეს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? 1 მუხლი მიღებულია. 2 მუხლი.

მომსახურებელს (კითხულობს 2 მუხლს)

2. მიეცეს საკანცელარიო ხარჯებისათვის აღნიშნულ მომრიგებელ მოსამართლეს იმავე ექვსი თვისა, ტფილისში 5,950 მ. თითოეულს, გარდა იმ ფულისა, რომელიც ეძლეოდათ მათ ამ ხარჯისათვის თანახმად 1917 წ. დეკემბრის 31-ის ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილების დამატებისა.

თავმჯდომარე. ვის ნებავეს სიტყვა მეორე მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი მეორე მუხლისა? მეორე მუხლი მიღებულია, შემდეგი მუხლი.

მომსახურებელს (კითხულობს მესამე მუხლს)

3. ამა წლის სექტემბრის 1-დან აღნიშნულ მოსამართლეს, მათ შიგნით და თარჯიმანებს მიეცეთ ჯამაგირად და სხვა ხარჯებისათვის თანახმად სექტემბრის 24-ის კანონისა სამოსამართლო ინსტიტუტისა.

თავმჯდომარე. ვის ნებავეს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? ეს მუხლი მიღებულია.

მომსახურებელს (კითხულობს მეოთხე მუხლს).


4. ტფილისის ორ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლისა, მათ შიგნითა და თარჯიმანთა დროებითი დამატებითი ჯამაგირისა და აგრეთვე საკანცელარიო ხარჯის დასაფარავად დამატებით გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ამა 1918 წ. მარტის 1-დან ვიდრე აგვისტოს 31-ე კრედიტი.

თავმჯდომარე. ვის ნებავეს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

მომსახურებელს (კითხულობს მე-5 მუხლს).

5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

თავმჯდომარე. ვის ნებავეს სიტყვა? საერთოდ ამ კანონპროექტის შესახებ? კანონპროექტი არის მიღებული და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. შემდეგი კანონპროექტი. მომსახურებელია—საბჭოს წევრი ონიაშვილი.



დ. ანაბეილა. (ს. დ.) ეროვნულ საბჭოს წევრობი ეს კანონპროექტი, რომელიც ესლა თქვენ უნდა განიხილოთ და შემდეგ მიიტაროთ (საბჭო არის და სათაურით ასეთი აქვს კითხ.)

კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შესახებ ხარჯისა

მიეცეს სახელმწიფო თანხიდან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის გასამარჯვლო სამი ათასი (3000) მანეთი.

საქმე შემდეგში გახლავთ: როგორც გენსომებათ, 10 ს. კტემბერს როვნულში საბჭომ მიიღო და დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დროშა. ამ კანონს წინ უძღოდა ხელოვნების კომისიის შემადგენელი წევრები. სხვათა შორის, ამ კომისიამ თავის დროზე მოიწვია ჩვენ საზოგადოებაში კარგად ცნობილი მოქანდაკე ნიკოლაძე. ბ. ნიკოლაძემ წარმოუდგინა ხელოვნების კომისიას პროექტი ამ დროშის შე ახებ. სწორედ ეს პროექტი მოიწონა ხელოვნების კომისიამ, და დაამტკიცა ეროვნულ საბჭომ. და ამ შრომისთვის, რომელიც გასწია ხსენებულმა მოქანდაკემ, ხელოვნების კომისიამ იქონია მსჯელობა, და გადაწყვიტა დაენიშნა ჯილდო ერთდროულათ 3000 მ.

ეს დადგენილება ხელოვნების კომისიამ გადასცა შემდეგ საფინანსო კომისიას, და საფინანსო კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა დამტკიცდეს ეს დადგენილება ხელოვნების კომისიისა და მიეცეს მოქანდაკე ნიკოლაძეს სახელმწიფო თანხიდან 3000 მან. აი ასეთი არის მოკლე ისტორია ამ კანონპროექტისა.

თავმჯდომარე. ვის ნებაეს სიტყვი? ვინ არის წინააღმდეგ, ამ კანონპროექტისა? კანონპროექტი არის მიღებული. გადავდივართ ბ. ანბეტელის შეკითხვაზე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს თ. ლლონტს.

აუღ. დღასტი. (ს. ფ.) მოქალაქენო ჩვენში ფრაქციამ სათანადო ყურადღება მიაქცია ამ საქათხს. ეს შეკითხვა, რომელიც ეხება სასურსათო სამინისტროს საინტერესოა იმ მხრივ, რომ საზოგადოდ საქიროა ამ საქმის მოგვარება. თავისთავად შეიძლება ეს შეკითხვა ამ რიგად საინტერესო და საყურადღებო არ იყოს, მაგრამ თვითონ სისტემა, თვითონ ორგანიზაცია სასურსათო სამინისტროსი-ისეთი დიდად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ საქიროდ მიგვაჩნია ესთქვათ, როგორც ჩვენი ფრაქციის აზრი, რომ პარლამენტმა მოიხილა მოს საგანგებო სხდომა და შესაფერისი ზომები მიიღოს ამ საქმის საბოლოო მოგვარებისთვის.

სამწუხაროდ, მას შემდეგ პირველ ხანად ცნობილ იყო, რომ ეს საკითხი მეტად საშურია, მაგრამ თითქმის შიველი თვე გავიდა და ამ საქმის დასრულება პარლამენტმა ვერ მოახერხა. უნდა აღვნიშნო შემდეგი გარემოება, ვიდრე ეს საკითხი აქ ვადასწყდებოდა. მთავრობამ, როგორც საშურ საქმეს, ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიაქცია, ერთნაირი დადგენილება გამოიტანა და დიდი ნაწილი დადგენილებიისა უკვე განახორციელა და ჩვენს სასურსათო სამინისტროს სტეფანო ეკუთვნილი რეორგანიზაცია მოხდა. ამ ნაარად ჩვენს წინაშე ეხლა არის არა მარტო სისტემა სასურსათო ორგანიზაციისა, რომელიც წინად იყო, არამედ ის სისტემა, რომელიც არის დღეს შექმნილი. მაშასადამე საქიროა ერთნაირი პრაქტიკული განხილვა და წარმოდგენა, ასეთი საქმისა, რომელიც ჩვენის აზრით, არის ერთად-ერთი ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება




სასურსათო სამინისტროს საზრიანთ პოლიტიკის წარმოებაში, რომელიც საზოგადოებაში, პრესაში განგაში ასტყდა. ყველანი გვეუბნებოდნენ, რომ სასურსათო საქმე არის რთული საკითხი, მაგრამ აქ დიდი შინაშენელობა ბქეს, რომ პარლამენტმა სუბიექტიურ მხარეს მიაქციოს ყურადღება. მოგვეცით კარგი პიროვნება, რომ სასურსათო სამინისტროს მდგომარეობა სასურველად შეიცვალოს, მე ვგონებ; რომ ამგვარად საკითხის დასმა, პიროვნების საკითხის დასმა, არ შეიძლება პარლამენტში. თავის თავად ცხადია, რომ პიროვნების საკითხი სერიოზულია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ერთად ერთი მთავარი საგანი საქმის მოსაგვარებლად პიროვნების საკითხი სერიოზული საკითხია და ეს სერიოზული საკითხი უნდა მოაგვაროს მთავრობამ.

მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასურსათო ორგანიზაციის სისტემას და არა მარტო პიროვნებას. კარგს სისტემაში ცუდი პირებიც შეიძლება გამოდგენს, მაგრამ თუ სისტემა უხეირო არის — კარგი პიროვნებაც რომ ჩაეყენოთ, შეიძლება ვერ გაამართლოს მიზნები. მაშასადამე მე ამ პიროვნებას ყურადღებას არ მივაქცევ და სისტემაზე ვიქონიებ მსჯელობას. რა უნდა დაედგას საფუძვლად სასურსათო პოლიტიკას? მე გგონია, სასურსათო პოლიტიკა არის ისეთი რამ, რასაც მთავრობა თავის საშუაში და საქმის წიაღში უნდა ატარებს. ჩვენი მთავრობის საერთო პოლიტიკა სდგას ერთნულ ძალა მოკრებას მრანცაზე ვაფელგვან სფეროში. ამის მიხედვით ჩვენი სამინისტროც შედგენილია ამ გეარ პრინციპზე. მაშასადამე სასურსათო სამინისტროში უქველად უნდა იყოს გატარებული ის აზრი, რომ აქ არის მოგროვილი წარმომადგენელი ქართველ ერისა, ყოველი ცოცხალი ძალა დაწყებულ ბურჟუაზიული ელემენტებისაგან დამთავრებული წმინდა წყლის პროლეტარიატით.

მე გგონია, რომ აუცილებელია დღეს ასეთი მდგომარეობის შექმნა, საქირო არის ყველა ცოცხალ ელემენტების გამოყენება. როგორ მოხდება ამას გამოყენება — ამის შემდეგ მოგახსენებთ; მხოლოდ, უნდა მოგახსენოთ: ვინაიდან საქიროა სამინისტროში ერთნაირ ტრადიციის ტენდენციის და მე ვიტყვი კონსერვატორობის გამოჩენა, ეს, აუცილებელი საქიროდ მიგვიჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა, სასურსათო სამინისტროს სფეროში იყოს გატარებული, ვინაიდან ყველაზე მეტად აქ არის სპეციალურ ხასიათის მუშაობა ყველაზე მეტი სპეციალური დარგი არის ამ სამინისტროში, ამიტომ სხვა უწყებებში თუ ასე შეიძლება მეთაურების შეცვლა, აქ, სასურსათო სამინისტროში ეს შეუძლებელია და ყოველად შეუძლებელი.

თუ მოვიგონებთ ამ წლის წარსულს დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი ცვლილება ხდება აქ, როგორც ძირითად სისტემაში მმართველობისა, ისე პერსონალურ შემადგენლობაში. დაწყებული ტერ-ყაზარიანიდან ნ — ნ მინისტრი გამოიკვალა, რომელთაც არავითარი დვაწლი არ მიუძღვით. დღეს ვხედავთ, რომ სასურსათო სამინისტრო საცსებით არის დანგრეული, მე არ მოგახსენებთ იმ ხმებზე და იმ ალიაქოთზე, რომელიც ასტყდა იმ ბოროტ მოქმედებაზე, რომლის შესახებაც აქ არის შემოტანილი შეკითხვა. მე ამ გამოად ეს არ მაინტერესებს, აშკარაა მხოლოდ ერთი, რომ საზოგადოთ ამ უწყების მდგომარეობა ძალიან მძიმე და ცუდ პირობებში არის ჩაყენებული. შეიძლება ამ ხმებს რაიმე ნიადაგი ჰქონდეს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. თითო



ეს ცვლილება ამ სამინისტროსი შიდა მოქმედება, მათი უწყვეტად შეიძლება მათ ნება ყოფის, მათ პიროვნების გარეშე არსებულ, ჰქმნის ხალხის იმ მდგომარეობას, რომელშიაც დღეს ჩვენ ჩავცვივდით. გარდა ამისა, რომ ასეთი ხშირი ცვლილება სასურსათო სამინისტროში ყოველათ შეუწყნარებელია. გარდა ამისა, აქ შეიქრთა სულ თავისებური სისტემის ორგანიზაცია. სულ სხვანაირათ არის აქ მოწყობილი საქმე, ვიდრე სხვა რომელიმე სამინისტროში. თუ თქვენ ყოფილხართ ეხლა ამ სამინისტროში, ნახავდით რომ ახლანდელ მდგომარეობას ამ უწყებისა, შეიძლება ანალოგია უყვით ამ სამინისტროში, სხვა სამინისტროების წარმოებაში. მაგრამ ამ სისტემის მხრივ ძირითადი განსხვავება არის ამ წესით მუშაობაში, რომელიც დღეს არის სასურსათო სამინისტროში და სხვა უწყებებში. ჯერ თითონ სასურსათო სამინისტროში, ვიდრე ეს სასურსათო სამინისტრო იყო, აქ შემოიღეს ერთნაირი დიქტატორიული უფლებებით არჩეულ პიროვნებათა ადგილები, რომელნიც არსებითათ წარმოადგენენ 2 მთავრობას. 2 მთავარი პოლიტიკა ვაბატონებული არის ერთ უწყებაში. თქვენ კარგათ იცით, რომ საზოგადოთ ჩვენმა მთავრობამ ეს სისტემა უკუ ავლო. ეს არის 2—3 მთავრობის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა სახელმწიფო სფერაში, სახელმწიფო სახელმწიფოში და პოლიტიკა პოლიტიკაში უარ ყოფილია საზოგადოდ. რაც უარ ყოფილია სახელმწიფოს სფერაში, შემოტანილია და გატარებულია სასურსათო სამინისტროში. მე უნდა მოგხსენოთ, რომ არ ვიცი რისთვის არ აღიარა სასურსათო სამინისტროს წარმოადგენელმა. იგი დაინტერესებულს იყო. მას თხოვენ პასუხს, მას პასუხათ უნდა ეთქვა, რომ იქ არიან პირები, რომელნიც ძალიან ხელის შემშლელნი არიან, ისეთი მდგომარეობა არის, რომ ჩვენ უწყებაში არიან იმისთანა პირები რომელნიც აეტონომიურად არიან თითქმის დამოუკიდებელნი. როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში, ისინი განაგებენ რთულ საქმებს და ეჩვენებენ ძალიან მოქმედობს, ჩვენ გვეხება. ნამდვილად კი ამ დიქტატორებს სხვა და სხვა უწყებისა რომელნიც არც პარლამენტთან არც მთავრობის წინაშე პასუხისმგებლებელი არ არიან, და არც მთავრობა სთხოვს პასუხს ისე, როგორც სხვა სამინისტროებში და ეს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მთავრობას მე შგონია, როცა ასეთი მდგომარეობა იქიქნება ყოველ სამინისტროში საზოგადოთ, და აქაც, უწყების მეთაური მოვალე არის სთქვას საბჭოს წინაშე, რომ ასეთი მდგომარეობა ხელს მიშლისო და მე ერთნაირი შეღავათი უნდა შეკონდესო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას პარლამენტი მხედველობაში მიიღებდა და პრაქტიკული შედეგი მოჰყვებოდა. დღემდის სასურსათო სამინ. აქცევედა უმთავრეს ყურადღებებს პურის საქმეს და აი სწორედ პურის საკითხი სასურსათო სამინისტროს მიერ ჰქონდა ჩაბარებული ერთი პიროვნებას, რომელიც ხშირათ ძალიან დამოუკიდებლობათ მოქმედობდა. ალბათ ეს იგივე ორ მარხველოვანი პოლიტიკის სისტემა არის, რომელიც ჩვენ უკუ ვაგდელ. მაგრამ აქ შენახული არის. ამ ნაირად მე ვამბობ, ყოველათ შეუწყნარებელია ეხლა იყოს და მრავლდებოდეს დიქტატორთა რიცხვი და რაოდენობა. შეუწყნარებელია, რომ ერთ უწყებაში იყვნენ დიდი უფლებით აღჭურვილნი რამოდენიმე პირნი, რომელნიც ანგარიშს არ აძლევენ და სავ-



სებით დამოკიდებულები არ არიან სამინისტროზე და მინისტრების მიმართ გარდა, ჩვენ ვიცით, რომ როცა რეორგანიზაცია მოხდა სასურსათო უწყებაში, აქ დარჩა მთელი რიგი ისეთი მოხელეებისა, რომლებსაც ვიცნობთ სულ სხვა შეხედულების პიროვნებათ. კერძოდ მე მაწევს მუშაობა. მე დაჩვიული ვარ; სხვა და სხვა ორგანიზაციებში მუშაობა ამ ნიადაგზე დავიწყებ. მე ვიცნობ სასურსათო სამინისტროს, დამოკიდებულობა მაქვს ამ სასურსათო სამინისტროსთან, და არა ერთხელ ყოფილა უსიამოვნება მუშაობის დროს, როდესაც დამოკიდებულობა მქონია სამინისტროს მუშაობასთან. მაშინ, როდესაც სამინისტროს უმთავრესი ძალია რეალური ძალია ეს ცოცხალი ენერჯია არ გამოიყენა ისე, როგორც შეეძლო გამოიყენებინა ჩვენ. კი ყოველთვის ისეთი მდგომარეობა გვქონდა შექმნილი რომ ჩვენ ყოველთვის გაუბრალოდით ამ ცოცხალ ძალებს, და არ არის ისეთი კონტაქტი და ისეთი დამოკიდებულობა, რომელიც საჭირო იყო. რისთვის, რატომ იყო ეს? იმიტომ კი ირა რომ სამინისტროს და მთავრობას ნდობა არ გვქონდა, არა, ჩვენ მთავრობასთან ძალიან კარგ განწყობილებაში ვდგავართ, ხშირათ გვაქვს ხოლმე ლაპარაკი ამ კოოპერატივების შესახებ, ყოველ შემთხვევაში მთავრობა გვებზრებოდა, ხშირათ ამბობენ რომ კოოპერატივებზე დაბზარება უნდა გაუწიონ სახელმწიფოს.

საჭირო არის მოქმედება, აუცილებლად არის საჭირო კონტაქტი, თუ ასეთი არის მთავრობის პოლიტიკა, მთავრობის აზრი მაშინ უსათუოდ უნდა იყოს წარმომადგენელი სამინისტროში, და მინისტრის მხრივ კოოპერატივებში. აუცილებლად საჭიროა ასეთი რეალური განწყობილება, რეალური მოქმედება. მიუხედავად ამისა თითონ უწყება სულ სხვა მდგომარეობაში არის. რისთვის? იმიტომ რომ არ იყო ასეთი აღმინისტრაციული აპარატი, როგორც შემადგენლობის და პერსონალურის მხრივ, რომელიც მთავრობის პოლიტიკას და თითონ მინისტრის პოლიტიკასაც განაგებდნენ ცხოვრებაში ისე როგორც თავის ინტერესებს, იმიტომ ჩვენ ვამბობთ, აუცილებლად საჭირო არის ჩვენთვის იმ პრინციპის გატარება პარლამენტში, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, ეს არის პრინციპი ნაციონალიზაციისა. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ბოლოს დროს თითონ ამ პრინციპით, რომელიც ვატარებდით, თუ კი შეიძლება რაიმე ობიექტური მუშაობის წარმოდგენა, მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება ამ საქმის წარმოება როცა მოხდება, ასე ვთქვათ ამ მხრივ ერთნაირ ნიადაგის გაწმენდა, და ჩვენ ვიცით რომ ერთნაირი მუშაობა სწარმოებს. სწორედ იმ დროს დაიბადება ათას ნაირი ხმები, როგორც სამინისტროში ისე საზოგადოებაში. სასურსათო სამინისტრო სრულიათ მოისპო. ჩვენ წინაშე ამ საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება არის საჭირო და არა სასურსათო სამინისტროს მოსპობა. საჭიროა თუ არა იმ ორგანიზაციის დადასტურება და მიღება, რომელიც მთავრობამ აღიარა, შესძლებს თუ არა იმ მიზნის გატარებას, რომელიც მას ეკისრება? აუცილებლათ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია რომ როცა ვამბობთ, რომ სასურსათო საკითხი არის დიდი საკითხი, და ჩვენ ამ გარდა მიგვაჩნია, ვერ წარმოგვიდგენია, რომ ასეთი საქმე მთავრობამ გადასტერას მაშინ მაინც, როდესაც ეს საკითხი დასმულია არის პარლამენტში, ეს საკითხი დავსვით ეროვნულ საბჭოში, ვაღიარეთ რომ გადაწყვეტილთ საჩქაროთ, მიუხედავთ ამისა სამინისტროს რეორგანიზაცია მოუხდენია თავის უფლებით და აქ საქმე უკვე მოწყობილია,



მე ვამბობ, რომ მოწყობილია, მაგრამ ეს მოწყობა არის ისეთი, რომელიც ქვის გამოწვევი, რომ შეიძლება ახლო მომავალში მოგვიხდეს ახალი საქმის, ახალი სიტყვის წარმოდგენა და დაცვა. ამ საქმის შესახებ ჩვენ გვქონია ლაპარაკი ფრაქციისა, იქ წევრები ამბობდნენ, აქ არავითარი ცვლილება არ არის, არსებითად ის სისტემა, რომელიც მიღებული გვქონდა დარჩა, შოლოთ გარეგნულად ფორმა არის შეცვლილი. უნდა მოგახსენოთ ჯერ ერთი, ყველა ჩვენ სამინისტროში არსებობს მგრეთ წოდებული სათათბირო საბჭო, ესე არის განათლების სამინისტროში, ესე არის ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში, საფინანსო უწყებაში. ასეთი საბჭო ანალოგიურად არის ეხლა სასურსათო სამინისტროში. ჩვენ ამ საბჭოს წინააღმდეგ, საზოგადოთ, არაფერი გვაქვს და ჩვენ პროექტში, რომელიც გვაქვს შემუშავებული, იქ პირდაპირ არის ნაგულისხმერი, რომ აუცილებლად საქროა ამისთანა საბჭოს დაბრუნება სასურსათო სამინისტროში. მაგრამ უფლება რა ნაირი უნდა იყოს ამ საბჭოს? ეს საბჭო უნდა იყოს უფლებლად სათათბირო ხასიათის, ეს არის უფლებრივი ნორმის საკითხი, მაშასადამე, თუ უფლებრივ ნორმას ერთნაირ ხასიათს მიეცემთ აქ, შეიძლება გაფართოვდეს მინისტრის მუშაობის ფარგალი, აი ამაშია არსებითი შესწორება და ცვლილება. იმ კოლეგიას, რომელიც დაარსებულია სხვა და სხვა დაწესებულების და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან აქვს ერთნაირი ხმის უფლება, ეს საბჭო, რომელიც არის სრული ნდობით აღჭურვილი, როდესაც თავის ხმის უფლებით რაიმეს გადასწყვეტს, კენჭის ყრით გადასწყვეტს, ეს უნდა ვატარდეს ცხოვრებაში ისე როგორც საბჭო მიიღებს. სხვა უფლება არ არის. სხვა უწყების საბჭომ შეიძლება ურჩიოს რაიმე, რაიმე დადგენილება გამოიტანოს, მაგრამ ეს არ არის სამინისტროსთვის საფლდებული. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც ასეთი უფლებიანი საბჭო შეიქმნება, მაშინ რა მდგომარეობა დარჩება? რა მდგომარეობაში ჩაეყენებთ მთელ სახელმწიფოს? არც ერთი სამინისტროს საბჭო არ დაიწყებს ლაპარაკს, ისე როგორც დაიწყებს სასურსათო საბჭო. სასურსათო საბჭომ მიიღო თუ არა ასეთი ცნობა, რომ საბჭოს მეთაური დანიშნულია მთავრობის მხრივ, დაიწყო ლაპარაკი—რა უფლება აქვს მთავრობას დანიშნოს ასეთი პირი ამჟამად, ჩვენ უნდა გვქონდეს უფლება ამის ამორჩევისათ. მათ გამოიყენეს უფლება, რომელიც ჩვენ ჩაეყენეთ სასურსათო საბჭო და მათ აქედან ლოგიკური დასკვნა გამოიყვანეს. რადგანაც ჩვენ ამ საქმეს გვისრულობთ ჩვენი თავმჯდომარე უნდა იყოს; ჩვენგან ამორჩეულ სამინისტრომ უნდა ფული მოგვეცეს და ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ საქმე, როგორც ჩვენ გვინდა.

მაშასადამე შეიქმნება დაახლოებით ისეთი დაწესებულება, რომელიც ჩვენ მოვსახეთ. როცა ჩვენ სამინისტროების შესახებ იყო ლაპარაკი, დაწვრილებითი მსჯელობა, ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენ უნდა მოვსახოთ სახელმწიფო სახელმწიფოში. ჩვენ კი დღეს ისეთივე მდგომარეობა შევქენით და ამ უსიამოვნობამ პირველ დღესვე იჩინა თავი საბჭოსა და მთავრობის შორის. ეს ერთი დამახასიათებელი მაგალითი იმისა, რომ მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ორგანიზაციას, უეჭველად უნდა მოსპოს იგი. გარდა ამისა თქვენ თვითონ აღიარეთ, მთავრობამაც აღიარა, მთელმა ეროვნულმა საბჭომ განაჩინა რომ სასურსათო სამინისტრო ამ ეხმად არის ისეთი სამინისტრო, რომელიც არც შემაღვენლობით, არც თავის სიძიმით, არც მნიშვნელობით არ



ჩამოუყვარდება სახელმწიფოში არც ერთს სამინისტროს, თქვენ შეგეხებოდათ, რომ სასურსათო საქმის შესახებ თათბირი იყოს და შემდეგ მისი მოვლენა. თქვენ როგორ ფაქრობთ, უცხოეთში სასურსათო სამინისტრო კი არ გაუქმებულა, კი არ განუსვენია ვისმე წიაღში, არამედ უფრო გამტკიცებულა. უფრო გაფართოვებულა და უფლებაც მისცემია ანალოგიურად სხვა სამინისტროებისა. აქ კი სულ სხვა მოვლენაა. ჩვენც კი დავაარსეთ ჯერ სასურსათო სამინისტრო, მაგრამ შემდეგ მოვსპვით და პირდაპირ სასაბჭოო მდგომარეობაში ჩავაყენეთ ეს საქმე. ჩვენ ვამბობთ, რომ სასურსათო პოლიტიკა უნდა დაამყაროს არა მარტო ცოცხალ ძალებზე, რომელიც ყველა წრეებში არის დანაწილებული, არამედ უნდა გამოვიყენოთ მთელი ეკონომიური ძალა და ენერჯია ჩვენს ცხოვრებაში, როგორც აჭაური, ისე საგარეო. ჩვენ ვერ მოვაგვარებთ სასურსათო საქმეს, თუ არ მოხდება მობილიზაცია, ყველა იმ საქონლისა და ღირებულებისა, რომელიც არის საქართველოში. გარდა ამისა, საჭირო არის უცხოელ ძალის გამოყენება. თქვენ იცით, ისეთი ობიექტიური მდგომარეობა იყო, რომ საქართველო არაფერს ჰქმნიდა. ჩვენ არ გვაცვია არც ერთი საქონელი, რომელიც არ იყოს შემოტანილი უცხოეთიდან. მაშასადამე, დიდი ნაწილი ჩვენი აღებმიცემისა დამოკიდებულია უცხო ბაზარზე. და როცა შეიქმნება ჩვენში ისეთი მდგომარეობა, როცა შეგვეძლება უცხო ძალის და ეკონომიურ ძალის გამოყენება და სასურსათო პოლიტიკის განმტკიცება, ეს იქნება ფილოსოფიური მხარე იმ სასურსათო პოლიტიკისა, რომელიც შოაგროვებს არა მარტო საშინაო საქონელს, არამედ გამოიყენებს იმ ძალებს, რომელიც მოწვევტილი გვყავს რამდენიც უნდა ილაპარაკოთ ვაჭარ-მრეწველები გვყავსო, ჩვენში ისინი ვერ შექმნიან ინდუსტრიულ მრეწველობას, ქარხნეულობას, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას რკინეულობით, მათუდით და სხვა და სხვა საგნებით, რომლებიც ჩვენთვის აუცილებელია. უმთავრესი დანიშნულება სამინისტროსი არის ის, რომ დაამყაროს სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრება, როგორც საშინაო ისე უცხო ძალებზე და ამ ძალების გამოყენებაზე. მაგრამ მითხარბო შესამღებელია თუ არა რომ ამ სამინისტრომ გამოიყენონ ეს მასალები? თქვენ მოგხსენებთ, რომ იმ მიზანს, რომლის გარშემო შეაძლება ამის განაღდება ვერ მიაღწევს, იმიტომ რომ სასურსათო უწყებას ჩვენ ვაძლევთ სიტყვას დიქტატორის უფლებით. ამ შემთხვევაში უნდა მოვახსენოთ, რომ საზოგადოდ დიქტატურაზე ძალიან გვიყვარს ლაპარაკი. ჩვენ გუშინაც მოვისმინეთ ერთი მოხსენება, სადაც იყო ნათქვამი сь отѣнкомъ диктатуры. ისე რომ ყველგან არის ეს სიტყვა მიღებული, ყოველგანაა ხმარებაში. უნდა მოვახსენოთ, რომ ამ დიქტატურას არავითარი ღირებულება და მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ვქმნით დიქტატურას, მაგრამ მინისტრის უფლებას კი ვართმევთ. თქვენ საბჭოს თავმჯდომარეს სასურსათო საქმეთა მინისტრის უფლებაც არა აქვს. მას არ შეუძლიან, მას არ ექნება უფლება მინისტრთა კაბინეტში მონაწილეობა მიიღოს. კაბინეტის წევრი არ იქნება. მას არ ექნება უფლება მონაწილეობა მიიღოს დიდ საკითხის ვადაქრაში და მარტო სასურსათო საქმეზე უნდა იზრუნოს. იგი სასურსათო საქმესაც ისე გააფართოვებს, როგორც ამ საქმეს შეეფერება. გარდა ამისა ის ვერ იქონიებს ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც უნდა იქონიოს მინისტრმა სხვა სახელმწიფოში, ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვენ შეიძლე-



ბა დაგვირდეს ამ პოლიტიკის წარმოება სხვა სახელმწიფოში, ეს ნაკლებად ცილებელია იმიტომ, რომ ჩვენ შეიძლება დაგვირდეს ამ წარმოებაში სხვა სახელმწიფოს ისეთი საქონელი მოვსტაცოთ კანონიერ ფორმით, რომლის დაბრუნებაში იგი ძალიან დანტერესებული იქნება. ამას კი ჩვენ ვერ შევძლებთ, რადგან ამისთვის დიდი ენერჯია იქნება საჭირო. ამას კი ვერ შევძლებს უბრალო მოხელე, უბრალო დიქტატორი უფლებებო საბჭოსი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სხვა ხალხის ენერჯიაც. საჭიროა რომ ასეთი უფლება მას აუცილებლად ჰქონდეს.

მე უნდა ვსთქვა კიდევ ერთი გარემოება, — შეიძლება რომელიმე საქმე, საკითხი ელემენტარული იყოს, ასე რომ მეტი გასაფალი უნდა ჰქონდეს, მაგრამ სამწუხაროდ რამდენად საკითხი ელემენტარულია და მეტი გასაფალი უნდა ჰქონდეს. ჩვენში კი ასე ხდება — გასაფალი არ აქვს, ისე რომ ჩვენი მსჯელობა თითქმის ელემენტარულია. ეს ელემენტარული დებულება შემდეგი გახლავთ: შეუძლებელი არის სასურსათო სამინისტრომ თვის შიზანს შიაწიოს თუ მის ხელში არ არის მთელი საშინაო ძალის დაბეგვრა, ფაზილები უნდა გაეხსნა. ეს იმას ნიშნავს, რომ უქვევლად უნდა უზრუნველყოფილ იქნას ფინანსიური მდგომარეობა. ბევრი გვაქვს შემოტანილ უცხოეთის ფული, და იმდენს ვბეჭდავთ რომ მართლა ამ გზით ვერაფერს ვერ მივაღწევთ საერთაშორისო კინიუნქტურაში, რომ ჩვენი ფული შეეცვალით სხვის ფულზე. აშკარაა ამისთვის საჭიროა არა მარტო მობილიზაცია ჩვენი ფულისა, არამედ საჭირო არის მობილიზაცია ამა თუ იმ საქონლისა, დაბეგვრა ერთ მხრივ. თუ გინდა სასურსათო სამინისტრომ დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოვოს და მას სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდეს, აუცილებლივ საჭიროა მის განკარგულებაში იყოს როგორც საქართველოს ყველა მოქალაქის საქონელი, ისე მოზრიგების კომიტეტი, აქ ორგანიზაციის სიმდიდრე, აგრეთვე სხვა და სხვა კომიტეტები, რომელთაც დიდ ძალი ქონება აქვთ. თითონ დაწესებულებებმა არ იციან დღეს რამდენი ქონება აქვთ. ყოველ დღე იბეჭდება გაზეთებში, რომ ნახეს 50 ათასი ფულით შეპარო. მე არ ვიცი რამდენად მართალია ეს, მაგრამ ასე კი იბეჭდება. მე არ ვიცი, რამდენად არის საჭირო გქონდეთ სია დიდ საწყობების, რომელნიც თბილისშია. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რად გინდათ დიდ საწყობების სია, თუ არ გინდათ გამოაჩინოთ საქონელი და არ დაინარჩუნებთ. წესი კერძო პირების საწყობების დანარჩუნებისა, ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს, რადგან უფლება და კანონი ყველასთვის ერთნაირია. ის აუარებელი საწყობები, რომელნიც კერძო პირებს ეკუთვნის, კანონს უნდა დაუმორჩილოთ თორემ მოსალოდნელია ანარქიული გამოსვლები. ამის მოწინააღმდეგე როგორც ვიცით არის ჩვენი მთავრობა. მაშასადამე აუცილებელი საჭირო არის, რომ ყველა ის საწყობები, რომელიც არის საქართველოში და რომელიც არ ემორჩილებიან სხვა და სხვა სამინისტროს, ყველა ეს საწყობები უნდა გადავიდეს სასურსათო უწყების სრულ განკარგულებაში. შეიძლება ჰქონდეს სხვა და სხვა ინსტრუქციები, მაგრამ აშკარაა, რომ ამ საწყობებიდან უმეტესად უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს ჯარი. თუ არ გეყოლება მილიტარული ძალა სისტემაზე დამყარებული და დამტკიცებული ჩვენ ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკას რეალურ წინადაგზე ვერ დავამ-



ყარბთ. მაგრამ თუ ჩვენ არ მივუკითხვავთ ჩვენს ჯარს საზრდო, საზრდო და საესტაბლიშმენტო არ დაეკმაყოფილებოდა იგი, რასაკვირველია, ვერ შეეკმნით. მაშასადამე ყოველად შეიძლება იყოს ამ ჯარის სისტემაზე და ორგანიზაციაზე ვილაპარაკოთ. თუ საესტაბლიშმენტო — ჯარს შეეკმნით. მაშასადამე მასალა, რომელიც განსაკუთრებულ დრომდის შეიძლება დარჩეს ბორჩალოს ადგილობრივ მცხოვრებთათვის, მაგრამ უფლებად დანარჩენი კი უნდა გადავიღოთ სასურსათო სამინისტროს ხელში. ამ ნაირად მოისპობა ის ორმოცათრთობიანი და სამმთავრობიანი პრინციპი, რომელიც შეიტანეს ამ სასურსათო საქმეში. და აღუქრვილი ამ უფლებით ის დაწესებულება, ის სამინისტრო, რომელსაც შქონდა, კიდევ უფრო გაფართოებული, ეს აუცილებელია საქმეშია, რომ სასურსათო პოლიტიკაში რაიმე ნაყოფი გამოიღოს. მაგრამ საქმეში არის რომ ასეთი მთლიანი ორგანიზაცია შეიქმნას სახელმწიფოში, საქმეშია ამისთვის იყოს ერთგვარი საბჭო. ჩვენ ამ საბჭოს იმიტომ მოვიზიოვთ, რომ ამ საბჭოში უნდა მოიყაროს თავი სხვა და სხვა ელემენტებში, რომლებმაც სხვა და სხვა სახელმწიფოს ორგანიზაციებში იზინეს თავი და ერთნაირი გამოცდილება მიუძღვით. როდესაც მე ვსაქვი, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ძალა უნდა იყოს დამყარებული კოცხალ ელემენტებზე, — ეს პრინციპი უნდა მივიღოთ მხედველობაში. შეიძლება რომ ჩვენ სახელმწიფოში, არის ისეთი ელემენტები, რომლებიც ჩვენ პარტიულ ცხოვრების გარეშე სდგანან. მოგვხსენებთ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ტრიალებს ამ პარტიულ ძალთა გარეშე. ამ ძალთა გარეშე არ შეიძლება ყველანი დაეკმაყოფილოთ. შეიძლება მოგვკრიფოთ ელემენტები, რომლებიც პარტიის გარეშე არიან. შეიძლება ნაკლებია ესეთი წრეები, მაგრამ ჩვენ სახელმწიფოში კი შეიძლება ორგანიულ შემოქმედებით მიუშაობას აწარმოებენ. ეს ელემენტები აუცილებლათ უნდა იყვნენ ამ საბჭოში შემოყვანილნი. უნდა იყვნენ ამ საბჭოში ექსპერტიზითა კლასის წარმომადგენელნი, უნდა იყვნენ აუცილებლათ კოოპერაციების წარმომადგენელნი, უნდა იყვნენ ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი, წარმომადგენელნი აგრეთვე უწყებებისა და ზოგიერთი სხვანიც. მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ ის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც არის ეხლა საბჭოში, და ის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც უნდა შეიქმნას ამ საბჭოში, — ეს არის უმთავრესი აზრი. დარჩეს უნდა სასურსათო სამინისტრო ამ მხრივ შესწორებული, შეკეთებული ჩამოყალიბებული იმ შესწორებით, რომელიც ეხლა აღმოჩნდნენ, გარდაქმნილი როგორც ეხლა არის. მხოლოდ რაც შეეხება ინსტრუქციის ხასიათს ეს სხვა საკითხია; ამაზე შეიძლება იმდენათ ლაპარაკი რამდენადაც ამის დირექტივის ხასიათი აქვს. მხოლოდ ერთი გარემოება უნდა აღვნიშნო. როცა შექმნეს ასეთი უწყება, იყო ლაპარაკი მონოპოლიაზე, მონოპოლიის საკითხი არის პრობლემის საკითხი. ეს არის გადაწყვეტილი ჩვენ ფრაქციებში. მე ვფიქრობ, რომ მონოპოლითა მართო პურის საკითხში რომ შემოგვედო, ეს გამოიწვევდა იმ ანარქიას, რომლის ჩაქრობაზე იმოდენი ენერჯია მოვანდომეთ და მილიონები დაიხარჯა საქართველოში. საქმე იმაშია რომ მონოპოლია შეეხება დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ ექსპერტიზაში რაც პური მიღებულია ხელათ გაეატარეთ და ხელიდან წაგვივიდა. ახლა ისეთ, მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ დასავლეთ საქართველოში მოსავალი



კარგი იქნება, მაგრამ სახელმწიფო საზინაში არაფერი დარჩენას იქნება ცნობები გვაქვს რომ დასვლეთ საქართველოს გაუმზავრენ ნებული სპეკულიანტები. და შეისყიდეს მოუტყებელი ყანები, აქ ხდება ის, რაც განსაკუთრებულად გავრცელებული იყო საქართველოში 60 წლებში და ამ ბოლოს დროს მიიღო ხასიათი სპეკულიაციური; პირდაპირ მოუყველ და მოუტყებელ ყანებს და მოუკრეფელ ბაღებს ყიდულობენ. ასეთ მდგომარეობაას უნდა მიექცეს ყურადღება. ეს ყრმალული უნდა იყოს. მთავრობამ უნდა აღძრას ეს საკითხი და მიიღოს ზომები. მთავრობას აზრათ აქვს შემოიღოს მონოპოლია, მაგრამ ამ მონოპოლიას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც მტკიცე ფასები არის გავრცელებული სხვა საქონელზე. თქვენ იცით რომ ჰურის საკითხი აღარ არის ამ ვლათ ისეთი მწვავე, როგორც აქამდისინ იყო. სასურსათო სამინისტრო უმჯობეს მდგომარეობაში არის ჩაყენებული და მომავალში ამ მხრივ— ჰურის მხრივ, უკეთეს მდგომარეობაში იქნება. დღეს ჰურის საკითხი არ არის უმთავრესი საკითხი იმიტომ, რომ უმთავრესი ნაწილი ჰურის მხრივ არის დამკაყოფილებული. მაშასადამე სოფელს აინტერესებს არა ეს მხარე—სურსათის, არამედ დაინტერესებული არის სხვა მხრივ— ფაბრიკატების მხრივ. მაშასადამე, ჩვენ რომ შემოვიღოთ მონოპოლია ჩვენ ხორბლეულობაზე, ეს იქნება ეკონომიური დაზარალება მთელი ხალხისა, და ამ ეკონომიურ დაზარალებას რაც შეიძლება მოჰყვეს მე შგონია, საქირო არ არის ლაპარაკი. რუსეთი ძალიან კარგი მაგალითია, რომ საზოგადოდ არ იქნება ერთნაირი წესის შემოღება. რუსეთში, სანამ მინისტრად პროკოპოვიჩი იყო, მინისტრები აწესებდნენ ზოგიერთ საქონელზე მტკიცე ფასებს და არ ადგენდნენ მტკიცე ფასებს ფაბრიკატებზე, და ამან არც დაჩვეა შემოიტანა, მაგრამ შემდეგში, ბოლოს დროს პროკოპოვიჩმა, რომელიც მე მიმანია რუსეთში უფრო ყოჩად მინისტრად, შემოიღო მტკიცე ფასები ფაბრიკატებზედაც. სასურსათო სამინისტროს მაშინ შეეძლო ხორბალი დაემზადებინა სწორეთ ამ ზომების მიღებით, მიუხედავთ ამისა არის მონოპოლია თუ არა. თუ ჩვენ არ ვაწარმოებთ დაახლოებით იმ პოლიტიკას, რომელიც ჯამანიაში იყო და შემდეგ რუსეთში იყო გადმოღებული, ყოველად შეუძლებელია, რომ მივაღწიოთ იმ მიზანს, რომელიც აუცილებლად საქირო არის. მონოპოლიის საკითხი თუ დაისვა საქიროა, რომ მას მიეცეს ფართო ხასიათი და გავრცელდეს ქალაქის ნაწარმოებზედაც. ჩვენ გვაქვს აქ ბევრი ცნობები სასურსათო კოოპერატოების, სასურსათო სამინისტროს ცენტრების ცნობები, სასურსათო ორგანიზაციებისა, ცნობები იმისი თუ რამდენი ხორბალი გვაქვს. სიმწუხაროთ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ საექვო ცნობები გვაქვს, არის საზოგადოთ კერძო ცნობები, და სამინისტრო არ არის კარგათ დაყენებული სტატისტიკის მხრივ. ჩვენმა სამინისტრომ გასცა რამდენიმე პირობები ჰურის შესახებ, ამ პირობებით ერთმა საზოგადოებამ უნდა შემოიტანოს 8 მილ. ჰური, სხვაზე არის გაცემული პირობა რამდენიმე მილიონ. ფ. პურზე, ყველა ეს პირობები რომ შესრულდეს, გამოვა რომ საქართველოს მოუწყვეს 8 მილ. ფუთი ჰური. რომ შემოვიღოს საქართველოში ამოდენა ჰური, დიდ კრიზის გამოიწვევს, იმიტომ რომ საქართველოში არასოდეს არ შემოტანილა 2 მილიონზე მეტი ჰურის ფქვილი. ამაზე კარგი, სწორე ცნობები გვაქვს, ეს კარგი, დამამზვიდებელი ცნობები არის. მაგრამ ეს მხარე ამ საკითხისა არის მოგვარებული, და ბევრი მნიშვნელოვანი



საკითხები სასურსათო პოლიტიკისა არ არის მოგვარებული უნდა მოგვარდეს ინსტრუქციის საკითხს, წერილად საკითხს აწარმოებულ ყურადღებას და არ შეგანერბოთ.

თავდაჯერება. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს კიკვაძეს.

თ. კიკვაძე. (ს. დ.) დღეს, თუ არა ეცდები, ვგონებ მესამე სხდომა არის, რომ ჩვენ განვაგრძობთ კამათს ახმეტელის მიერ შემოტანილ შეკითხვის გამო. საზოგადოთ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ეროვნულ საბჭოს ძლიერ დიდ დროს ართმევენ ეს შეკითხვები, შემოტანილი მემარჯვენე ფრაქციებისაგან. ს. დ. ფრაქცია დიდ ფასს სდებს შეკითხვას და ის ყოველთვის მიმართავს მას და მიმართავდა სათათბიროში რუსეთში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს შეკითხვა უნდა იყოს დასაბუთებული, გააშკარავებული, თან ამ შეკითხვას უნდა ჰქონდეს ისეთი მიმართულება რომელიც სახელმწიფოს შენებას წინ წასწევს, და არა უკან დასწევს. მაგრამ ამ 4 თვის განმავლობაში, რაც შეკითხვა შემოვიდა, სამწუხაროთ, თითქმის არც ერთი არ ყოფილა რიგიანათ დასაბუთებული. ასეთი შეკითხვების რიცხვს მე ვაკუთვნებ ბ. ახმეტელის შეკითხვას (ხმა „მართალია“)

ის სასურსათო სამინისტროს დიდ ბრალს სდებს, ის ამბობს, რომ სამინისტროში დიდი ხანია გაბატონებული იყო ნამდვილი პანამაო. მაგრამ, მე მოგახსენებთ, ეს დიდი ბრალდება ძალიან კარგათ უნდა იყოს დასაბუთებული. ახმეტელს პასუხი გასცა სასურსათო სამინისტროს წარმომადგენელმა ბატონმა მინისტრმა ლორთქიფანიძემ. მე ზოგიერთ წერილმან ფაქტებს არ შევხები. შევხები მარტო იმ ფაქტებს, რომელიც ბ. ახმეტელის მიერ იყო წარმოდგენილი. როგორც უმთავრესად დასაბუთებულნი და გამოაშკარავებლნი პანამისა.

უპირველესად ყოვლისა, მე ჩვენი ფრაქციის, ს. დ. სახელით ხაზ გასმით ვაცხადებ, რომ ყოველივე ბოროტმოქმედება სახელმწიფოს ქონების გაფლანგვა, ვატაცება, და საზოგადოდ ურიგათ მოხმარება, უნდა დასჯილი იყოს მთელი სისასტიკით (კედია—„განცხადება არ კმარა“) როდესაც ამ ბოლოს დროს ჩვენში ვაგრცელდა ეს მოვლენა—ბოროტ მოქმედება, ჩვენ ფრაქციას აზრად ჰქონდა ახლო მომავალში თავისი ინიციატივით შემოეტანა საბჭოში კანონ-პროექტი, იმ ბოროტმოქმედ ბირთა წინააღმდეგ, რომელნიც ანადგურებენ სახელმწიფოს ქონებას, რომელნიც იტაცებენ ამ ქონებას. კანონპროექტის აზრით, ამ ბირთ სასტიკი დასჯა უნდა მიენიჭოთ, თითქმის სიკვდილამდის (გაბაშვილი—„თითქმის“), ვარდა ამისა, ვინც იქნება დაკერილი მას ჩამოართმევენ მის ქონებას სახელმწიფოს სასარგებლოდ, და მოახდენენ კონფისკაციას (ს. დ. მხრიდან—„ვის გადასცემენ არსენიძე—„ნაციონალ დემოკრატების“).

მე არ გამოვდივარ სასურსათო სამინისტროს დასაცვლათ, მე არ ვეისრულობ ამას, იმიტომ რომ ამ საქმის შესახებ უკვე არსებობს რევიზია, რომელიც ცხადია ობიექტიურად ამას გამოიძიებს. ფრაქციას შესაძლოთ შიანია, რომ ამა თუ იმ სამინისტროში, არა თუ დემოკრატები, არამედ ბოროტ მოქმედებაც კი იყოს, მაგრამ, რაკი ამ მდგომარეობას მთავრობამ თავის დროზე შიაქცია ყურადღება და გადასცა სათანადო რევიზიას,—მაშასადამე ჩვენ უნდა დაუტყდეთ ამ რევიზიის შედეგს და ეს რევიზია ჩვენ გვეტყვის თავის დროზე უკანასკნელ სიტყვას თუ რაში მდგომარეობს საქმე.

გხლა გადავდივარ ამ შეკითხვაზე, ჩვენ უნდა ვავითვალისწინოთ



და რა პირობებში, როდის მოქმედებდა, სსურსათის სამინისტროს და რა დაბრკოლება ედობებოდა მას. ვინაიდან ვერც ერთი იმ მოქმედებს დროსა და სიერცის გარეშე და დროსა და გარემოებას, რასაკვირველია ყველა სამინისტროზე აქვს გაფლენა (კედია აგრე მატერიალიზმი?)

ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა როგორც მოგვხსენებათ 26 მაისს. 26 მაისს, ეს ისეთი დრო არის, როდესაც ძველპური უკვე გამოიღია და ახალი შემოსული ჯერ არ იყო. ამჟებ დროს, მთელი ჩვენი ქვეყანა, და განსაკუთრებით ჩვენი ქალაქები და დასავლეთი საქართველო, დამშფოლები არიან და ყოველ დღე დეპრესიით და შერიღებით სთხოვენ მთავრობას პურს. თქვენ მოგვხსენებათ, რომ პურის, საერთოდ სურსათის საკითხი უბრალო საკითხი არ არის. სწორედ ამ პურის საკითხმა დაამოა ნიკოლოზის ტახტი; სწორედ ამ პურის საკითხმა როგორღიუციასაც ჩასცა სასიკვდილო დახვარი. მაშასადამე, თუკი ეს საარსებო კითხვა ყოფნა არ ყოფნისა რუსეთისთვის სახედისწერო გამოდგა, ცხადია ჩვენ ქვეყანას, რომელსაც პური რუსეთიდან მოქონდა—მომხმარებელი იყო და შინ იმდენი არ მოდიოდა რომ საყოფათ მოქონდა, ეს საკითხი, ჭაბუბ მე, თავის თავად ცხადია, დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენებს. მაშასადამე სწორედ ამ მხრივთა გასარჩევი სამინისტროს მდგომარეობა.

როდესაც სამინისტროში იყვნენ ტერ-ვაზარიანიცი და სხვ., მაშინ ბალაჯარის რკინის გზა არ იყო დაყენებული, დღეში 5--10 ვაგონი ფქვილი, ხორბალი შემოდიოდა და მიუხედავად ამისა სასურსათო საკითხი მაშინაც მწვევად იდგა. სამინისტროს არ მოქონდა შედეგა დაგროვებინა და გადაეცა ეს მოგროვილი სურსათი მომხმარებლებსთვის. მაშასადამე, ჩვენს სამინისტროს, მოქმედების დაწყების დროს, არავითარი პური, ხორბალი და ფქვილი არ მოქონდა; მიღებული იყო მხოლოდ შაქარი, იმავე დროს, მოგვხსენებათ, რომ იქნისში და მაისში, ერთათ ერთი გზა, რომელითაც სამინისტროს პური შემოქონდა და რომელიც ჩრდილო კავკასიასთან გვაკავშირებდა—დიკეტა, დუშეთის მხარეში აჯანყების გამო. ამჟებ დროს განადგურებულსა და დამშფოლ გურიას სურსათი შემოაკლდა და დაბეჯითებით თხოულობდა პურს.

ჩვენი მთავრობა იძულებული იყო როგორმე დაეკმაყოფილებინა ასე თუ ისე მათი მოთხოვნილება. სამინისტრო ახდენდა განკარგულებას რომ, რაც არ უნდა დაჯდომოდათ—მაინც მიეწოდებინა პური გურიასთვის. ასეთ პირობებში სდებდა სამინისტრო ხელშეკრულებებს. და ამიტომაც არ შეეძლო ყურადღება მიექცია—საზარალო იყო ეს ხელშეკრულებანი თუ არა, ხომ მოგვხსენებათ, რომ ხეალისდელ ქათაშს, გაჭირვებულ კაცს დღეგანდელი კვერცხი უჩვენებიათ.

თუ ჩაუკვირდებით სამინისტროს მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, —ჩვენ დავინახავთ, რომ სამინისტროს ყოველი დონის ძიება უხმარია რომ ეს ხელშეკრულებანი არ ყოფილიყვნენ საზარალო.

მე გადავდივარ ხელშეკრულებაზე, რომელიც ბ. ახმეტელმა წარმოადგინა როგორც დამტკიცებული ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის. ის ხელშეკრულება, რომელიც სამინისტრომ უარყო და არ



მიიღო. ეს გახლავთ ხელშეკრულება ხოშტარიასთან. ამ ხელშეკრულებას ში, მე აქ მაქვს თითონ ორიგინალი ხოშტარიას მიერ ხელმოწერილი, ისეთი პირობებია, რომელსაც ვერც ერთი სამინისტრო ვერ მიიღებს. მაგალითად, ბ. ხოშტარია თხოულობს, რომ მას მისცენ პურის შემოტანის შონობოლია, მთელ საქარაველოს ტერიტორიაზე; ისეთი შონობოლია რომ არაყის არ შეუძლიან ჩვენ ტერიტორიაზე პურის გატარება სხვაგან წასაღებად. ეს ერთი.

შეორე,—ბ-ნი ხოშტარია თხოულობდა სამილიონ მანეთს რუსული ფულით; შემდეგ ის მოითხოვდა, ომ მას მისცემოდა სახელმწიფოსაგან; ესე იგი მთავრობისგან და გერმანიის მისიის გან ისეთი გარანტია მაგალითად, მოწმობა, რომლის ძალითაც მას შეეძლებოდა აუცილებლად პური ეყრდა. თუ მოწმობა არ ექმნებოდა მიცემული, მაშინ თავისუფლდებოდა ყოველ პასუხის მგებლობისაგან. იმავე დროს არ აღნიშნავდა არც დროს როცა შემოიტანდა იმ პურს, არც რაიმე გარანტიას იძლეოდა და თუ ვინცობაა ის უარზე გადაგებოდა ჩვენს მთავრობას არაერთი საბუთი ხელში არ რჩებოდა. (ვეზაველი. „სირცხელი“..) ამნაირად შემოიტანა ხოშტარიამ ეს წინადადება. 21-სა და 28 აგვისტოს სასურსათო მინისტრის ამხანაგმა ბ. პ. საბაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ამის შესახებ. მთავრობამ გაარჩია თვითეული მუხლი და სცნო რომ ეს იქნება საზარალო და მიუღებელ ჩვენ სახელმწიფოსთვის, რადგან ის სახელმწიფოს არ უზრუნველ ჰყოფს პურით.

ბ. ახმეტელი ამტკიცებს, რომ მთავრობას უსათუოდ ეს უნდა მიეღო, და იმისთვის ხელი უნდა მოეწერა (ახმეტელი — „როდის გითხარი თქვენ ამტკიცებთ რომ ბ. ხოშტარიას მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება უარყავით, და შაზმანოვის ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეთო. შერე ბ. ახმეტელი უსაყვედურებდა და უცხადებდა საშინისტროს, რომ ჩეკები დაუბზურდავითო და სხვა. იმავე დროს ხოშტარიას აქვს ისეთი პირობები წარმოდგენილი, რომ მთავრობას მისთვის უნდა დაეზურდავებინა ჩეკები. ამნაირად, სამინისტროს შეხედულება, რომ ხოშტარიას მიერ წარმოდგენილი პირობები არ იყო მისაღები ჩემის აზრით სიმარათლეს შეიცავს.

რაც შეეხება შეორე ხელშეკრულებას. რომელიც დასლო სამინისტრომ შაზმანოვთან, პაპოვსთან და სხვებთან, აქ არის ნორმალური პირობები და ხელს აწერს სამი სამინისტროს წარმომადგენელი—მიწათმოქმედების სამინისტროსი, სასურსათო სამინისტროსი და საფინანსო სამინისტროსი. ამნაირათ, სასურსათო სამინისტრო ცდილობდა, როგორც შეეძლო სხვა და სხვა წინადადებისაგან აერჩია მხოლოდ ისეთი, რომელიც მისი აზრით ხელსაყრელი იყო ჩვენი სახელმწიფოსთვის და რომელიც უზრუნველყოფდა მას პურის მხრივ. რაიცა შეეხება დანარჩენ ხელშეკრულებას—მე არ შევხებები მათ, რადგან წერილობითი ხასიათისა არიან და უმთავრეს დებულებას არ შეიცავენ. მე შევხებები ბ. ახმეტელის განცხადებას, რომ სამინისტრომ გაგზავნა აღერბეიჯანში 30 ვაგონი შაქარი. (ახმეტელი „სამინისტრომ არა ბატონო“). თქვენ ასე გამოაცხადეთ და... და ნამდვილად კი აღმოჩენილ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ სამინისტრომ გატანის ნება მისცა ტაგიევის ორ ვაგონ შაქარზე და მას ეს შაქარი მიეცა მხოლოდ არა იმ მოსაზრებით, რომ უსათუოდ ეს პირობები ხელსაყრელია. და მაშინ სწორედ, როცა ტაგიევმა ასეთი ხელშეკრულება შეკრა პურზე, გურიიდან დამშვეულ ადგილებიდან



ასეთი ტელეგრაფები მოდიოდა: (კიბხულობს) შერე კიდევ (კიბხულობს).

აი, სწორედ, როცა ეს დებულები მოვიდა ეს ტაგიევი გამოცხადდა სამინისტროში და მისცა წინადადება, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ორ ვაგონ პუტს მოვიტან თუ მომცემთ ორ ვაგონ შაქარსო. და ფულს დაუმატებ 120 ათას მანეთსო. რა თქმა უნდა, ასეთი კრიტიკული მდგომარეობის დროს სამინისტროს არ შეეძლო უსათუოდ წერილმანებისათვის მიექცია ყურადღება— შეიძლება თუ არა გაცვლა ორი ვაგონი შაქრის ორ ვაგონ პურზე 1200 მანეთის დამატებით. მაგრამ როცა ტაგიევი შაქრის მისაღებათ მოვიდა, მაშინ უკვე შემდგარი იყო ის დაწესებულება, რომელსაც გაცვლა-გაშოცვლის კომიტეტი ეწოდება. ამ კომიტეტმა ტაგიევს ის ორი ვაგონი შაქარი არ მისცა, მხოლოდ შემდეგ სამინისტროს მოხსენებით და ამ კომიტეტის მოხსენებით მთავრობამ გადასწყვიტა, რომ რა კი ხელშეკრულება იყო დადებული, ეს ხელშეკრულება ასე თუ ისე უნდა შესრულებინა და ტაგიევმაც შაქარი მიიღო.

ამნაირად ის ბრძანება, ვითომც სასურსათო სამინისტრო არ აქცევდა ყურადღებას ამა თუ იმ ხელშეკრებულების საზარალო მხარეებს, არ გაითვალისწინა, თუ ვისთან ჰქონდა საქმეო — არ შეეფერება სინამდვილეს.

სასურსათო სამინისტრო სკდილობდა, ფასების დასაწევად გაემართა, ესე ფსტკვათ, კონკურენცია, მაგალითად ხოშტარისა მსშანოვის და კიდევ მესამე პირის შტარჩის შორის და ასეთი საშუალებით 5% დასწია 5%-მდე. მე თავიდანვე მოგახსენებთ, რომ მე არ მაქვს აზრათ დეტალურათ განვიხილო ხელშეკრულებანი, მხოლოდ მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას და აღვნიშნავ ხაზ ვასმით, რომ უმთავრესი ხელშეკრულება, რომელზედაც ბრალსა სდებთ სამინისტროს — ობგექტიურათ რომ გავაშუქოთ არ არის საზარალო.

ამსთანავე სამინისტრო მუდამ სკდილობდა, რომ რაც შეიძლება ეს კრიზისი თავიდან აეშორებინა. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის, იმ ნაწილშიაც კი, სადაც ბევრი პური მოდის, და პურის ქვეყანათ ითვლება — იქაც პურის დიდი სიძვირე არის; მაგრამ როგორც პოლიტიკურად გადურჩა ჩვენი პატარა ქვეყანა ექსცესებს და ანატიკის, ისე სასურსათო მხრივ ჩვენ შევსძელით და დავასწიეთ თავს, და ამ ნიადაგზე არავითარი ექსცესები არ მომხდარა, დღეს კი მოსალოდნელია, რომ სიმშვილისა და ექსცესების შიში შიმშილის ნიადაგზე ზედმეტი არის, რადგან ახალი მოსავალი უკვე შემოვიდა და სოფლები დაკმაყოფილებულნი არიან. მაგალითად შარშან მთელი ქიზიყი დამშვეული იყო, ეხლა კი ისეთი მოსავალი არის რომ სამ — წელს ეყოფათ და დაკმაყოფილებულნი არიან იქაური გლეხები. მაშასადამე, დაგვრჩა საზრუნველათ მხოლოდ ქალაქები — თბილისი და საზოგადოთ ქალაქები: საკჰარისია, რომ შემოგიტანოთ ერთი მილიონი ფუთი პური, ხორბალი უკრაინიდან, ან სხვა რომელიმე მხრიდან, მაშინ ადგილობრივ ფასები პურზე დაიწევს, მაზარზე პური გამოვა, და ის ნაწილი, რომელიც გლეხებისთვის არ არის საჭირო ქალაქებში გამოვა და იაფ ფასებში გაიყიდება.

ბ. ანტეტელს რომ გავთვალისწინებია, რომ მთავრობამ ამ საქმეს დროზე მიაქცია ყურადღება, რომ სახელმწიფო კონტროლი ამ მხრივ მოქმედობს და სხვ. მაშინ, მე მგონია, არ შეგოიტანდა ამ შეკითხვას,



ინაიდან სასენლმწიფო კონტროლერმა გამოუცხადა მუშაობის შესახებ სიტყვიერად¹⁾ სიტყვიერად, ამ საქმის შესახებ 14 აგვ. მე შგონია, რომ ბ. ახმეტელს ეს გაუცხონია და იმას გაუცხინა მოუხდენია იმაზე, და ხოლოდ 17 აგვ. შემოუტანია თავის შეკითხვა.

გინიცოხა, იმიტომ, რომ, ასე ვთქვათ—ცეცხლზე ნაფთი დაახსნა ამ სასურსათო სამინისტროში. რაკი ჩვენი მთავრობა, კონტროლიორის მოხსენებით ზომებს იღებდა, და კიდევაც მიიღო, და 28 აგვ. გადასცა ეს საქმე. მაშასადამე, როცა ბ. ახმეტელმა ეს გაიგო, ცხადია რომ ეს შეკითხვა ტყუილ-უბრალო იყო, და საქრო იყო მოხსნა, რევიზიის გათავებაზე მოცდა. მაგრამ, ის ესე არ მოიქცა, ეს მისი სურვილი და ნება არის.

მე მხოლოდ ის უნდა ვთქვა, რომ ეს შეკითხვა ჩვენ ხელს გიშლის საქმეში და დადებითი მუშაობაში. არ გვადიღეს საშუალებას სასურსათო საქმის ორგანიზაცია მოვაწყოთ. ეს ცხადია დღეს ყოველივე ქვეყანაში, თვითონ იმისთანა სახელმწიფოში, როგორც არის გერმანია, ეს თუქცა იქ, თვითელი მოქალაქე შეგნებული არის, და არ იქცევა ისე, როგორც უმრავლესობა ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეებისა. (ხმა: „მთავრობის“) მაგრამ, ჩვენში, ამის მოწესრიგება, მარტო მანაურ საშუალებებით ყოვლად შეუძლებელია. იქნება ეს სამინისტრო, იქნება სამინისტროს საბჭო, თუ იქნება დამოუკიდებელი საბჭო—სულ ერთია, სამინისტრომ და ამ საბჭომ, უ და მიმართონ გარეშე ქვეყნებს, საიდანაც პურის შემოტანა შეიძლება. მონობოლია, აქ პრეტენზებს ბ. ლონტი. მონობოლია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ხალხი, მთელი რესპუბლიკა მოხარული შეგნებულნი არიან, როდესაც, ამასთან კიდევ, შეიძლება არის, რომ რევიზიკია მოხდეს, მაგრამ ეს საშუალება ჩვენმა მთავრობამ, ჩვენმა სამინისტრომ ერთი წლის წინეთ სცადა, და არ გ მოდდა იმიტომ რომ, ეს ზომები გამოიწვევენ მთელ რესპუბლიკის გორებების აჯანყებას, რაც, რა თქმა უნდა, არავისთვის სასურველი არ არის. შეიძლება ცხოვრება უკეთეს კალაპოტში ჩადგა მაშინ შეიძლება მთავრობამ მონობოლია გამოაცხადოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ქვეყანას შემოაქონდა საქონელი, რომელიც ჩვენ საკმარისათ თავის დღეში არ გვქონია. ცხადია, რომ ჩვენ პურს ვერ გამოვიტანთ ბაზარში. ამიტომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ერთი იმედი უნდა ვიქონიოთ და მთავრობა ამ საშუალებას მიმართავს, და ღებულობს ყოველივე ზომებს, რომ უკრახინიდან და სხვა ქვეყნებდან, რაოდენიმე პური შემოიტანოს. რითაც, ცხადია, ადგილობრივი პურის ფასი დაეკემა. (გაბამეფილი, რომ ვერ შემოიტანოს) რაც შეეხება იმას, რომ სამინისტრომ, ესე იგი—მთავრობამ, მოახდინა ერთი გადასხვაფერება, მოახდინა ორგანიზაცია სასურ. სამინისტროსი, გააუქმა ის სამინისტრო, და დაარსა სასურსათო საბჭო, რომელიც მთელიან წარმომადგენელნი ქალ. კავშირისა, კოპერატივებისა, სახ. გვარდიისა და სხვა საზოგადო დაწესებულებებისა, და იმათ მიანიჭა თავის მიერ დანიშნული თავმჯდომარე—მე შგონია, ასეთ საშუალებით, ჩვენ შეტს შევძლებთ მუშაობას ვიდრე მარტო სამინისტრო რომ იყოს. სამინისტრო, რა გარეც მოგხსენებათ, ხალხზე დაშორებული არის. ეს საბჭო, თავის შესაძლებლობით დაახლოვებული არის ხალხთან და რასაკვირველია, უფრო ეცოდინება ყველა ადგილობრივი გარემოება. მაშასადამე, ეს საბჭო, რომელიც სამინისტრომ დაარსა, განმეორება არის იმის,



რაც წინეთ იყო ნაცადი მაგ. ცენტრალური კავშირის გამგეობის წევრები
 შეღმავ, ასე-თუ ისე დიდი საშახური გაუწია, ჩვენს ქვეყანას შეეძლო
 და ამიერ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო განვითარებით თუ ამ საბჭოში
 ინტელექტუალური, მაშინ შინაპ მოახერხებს საქმეს და გარედანაც შოი-
 ტანს პუბს. თუ იმას ბრძანებთ, რომ რაღა არის დანიშნული მთავრო-
 ბისაგან თავმჯდომარე, ეს ახსენება უბრალო გარემოებით, რომ იმ
 ფულის, რომელითაც უნდა შეიძინოს საბჭომ პური—ხარჯავს მთავრობა.
 მაშასადამე, მთავრობისა და ამ საბჭოს შორის უნდა იყოს ერთგვარი
 კავშირი, ერთგვარი კონტრაქტი, რაც შეიძლება თავმჯდომარის დანიშნით
 რომელიც იქნება წარმომადგენელი მთავრობისა და ხელშეწყობილი ამ
 საქმისა. რა თქმა უნდა, შეიძლება დავეთანებოდ იმას, რომ დღეს, ამ
 სასურსათო საბჭომ თავის შორის აიხიროს თავმჯდომარე და ის დამატე-
 ც-ის მთავრობაში. (ხმა „შეუძლებელია“) ეს ისეთი საკითხია, რომელიც
 ტენიკურ მხარეს შეიცავს. (ხმა: რა თქმა უნდა.) ხოლო, ტენი-
 კურად ამის მოგვარება შეიძლება არა მარტო საბჭოსაგან. სამინისტრო
 იქნება, თუ საბჭო, ან იქნება დამოუკიდებელი საბჭო—ჩვენი მთავრო-
 ბა ფიქრობს საუკეთესოდ მოაწყოს ეს საბჭო, რომელიც ადგილობრივ
 პირობებს გაიყოს, და ადვილად მოახერხებს ხალხთან მიწოდებას, იმათ-
 თან იმათ გასაღებ ფაზზე დაპირებს, და სოფლიდან პურის მოტანას.
 რაც შეეხება საგარეო საქმეებს, — უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან პუ-
 რის მოტანას, რა თქმა უნდა, ეს საბჭო იცის რებს, ტენიკურად, ამის
 მოტანას და მოწყობას: ხოლო ჩვენი მთავრობა ერთ ნაით კავშირს და-
 უჭერს მეორე მთავრობას. ამ ნაითად, მე მგონი, ეს საბჭო, ბოლოს და
 ბოლოს ჩვენ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ჩვენ ყოველგვარი საშუალება
 ვცადეთ, მაგრამ, არც ერთმა არ მოგვცა ის შედეგი, რომელიც სასურველი
 იყო ეს გარემოება, ასეთი შუამდგომლობა საბჭოსა, მე მგონია არის თავდე-
 ბი, რომ ასე თუ ისე, საქმე მოწყობადება. მე არ ვამბობ, რომ დღესდღეობად,
 მაგრამ იმდენად, რომ პური გაიფუტება, რომ პურის საკითხის გარშემო
 განვაში არ ატყდეს შესაძლოდ არ მოგვანია ჩვენ, და ამიტომ მხარს
 უჭერთ ჩვენ იმ გეგმას, რომელიც წარმოადგინა ბ. სს. მინისტრმა ლო-
 რთკიფანდიძემ. დასჯნა ჩემი ეს იქნება: სასურსათო სამინისტროში შეი-
 ძლება რაიმე დეტეტები იყოს. შეიძლება, რომ უწინაც, და ჩვენ დრო-
 შიაც, რომელიმე აგენტებმა ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს, მაგრამ, ეს
 იმ საბუთებით, რომელიც წარმოადგინა ბ. ინტერპედლიანტმა, არ
 არის ცხადყოფილი. ეს იქნება ცხადყოფილი მხოლოდ მაშინ, როდესაც
 რევიზია, თავის მუშაობას, გამოძიებას დამთავრებს და მოახსენებს საბ-
 ქოს (ხმა: „დამფუძნ. კრება“...) რაც შეეხება, საზოგადოთ სახელმწი-
 ფოში გაბატონებულს სახელმწიფო ქონების გატაცება გაფლანგვას და
 ურიგოთ მოხმარებას, მე მგონია, მთელი საბჭო ერთი ხმით მიიღებს იმ
 კანონ-პროექტს, რომელსაც, ამ ახლო მომავალში, ს.-დ. ფრაქცია თა-
 ვის სახელით, თავის ინიციატივით წარმოუდგენს საბჭოს. მოახლოვნილი
 იქნება, რომ ბოროტ-მოქმედი სასტიკად დაისჯოს, და გარდა სასჯე-
 ლისა, ჩამოერთვას მას კიდევ ქონება და კონფისკაცია მოხდეს. (ხმა:
 „ჩვენ უკვე მივიღეთ“).

ვიმეორებ, მე აზრად არ მაქვს და არც მონდობილი მაქვს სასურ-
 სათო სამინისტრო დავიცვა, რომ ვთქვა, რომ არავითარ ნაკლს,
 არავითარ ბოროტ-მოქმედებას არ ქონდა ადგილი. მხოლოდ მე
 ვამბობ, რომ ჩვენ მთავრობს ს დროზე მიუქცევია ყურადღება,



დროზე მიუღწევია რევიზიისთვის და ეს ყველა თავდებია იმისი, რომ თუ რამე არის აქ, ის ყველა გამოაშკარავდება და ეროვნულ საბჭოს წინაშე წარედგინება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბ. გაბაშვილს.
გაბაშვილი. (დ.ნ.-დ.) ბატონებო, ბ. კიკვაძემ გვითხრა, რომ იმას არა აქვს მინდობილი და ცვა სასურსათო სამინისტროსი, მაგრამ როცა კიკვაძე იცავს მთავრობას, რომლის ნაწილს შეადგენს სასურსათო სამინისტრო, ალბად იმასაც იცავს და ამ სიტყვაში გამოდის რომე სასურსათო სამინისტროს მინცა და მინც არაფერი დაუშვებია. იქამდის ვაბედული ვახდა ბ. კიკვაძე, რომ სთქვა მაინცა და მაინც ის ხელშეკრულება რომელიც შექრა სამინისტრომ არ არის საზარალო მაშინ, როდესაც წინა კრებაზე თითონ პრემიერმა გვითხრა: სუყველა ხელშეკრულებანი საზარალოაო. და ესლა ჩვენ აღარ ვიცით, ვინ არის მართალი— მთავრობა ამბობს საზარალოა და დამწერნი სამართალში არიან მიცემულნი, ბ. კიკვაძე კი გვეუბნება, რომ ეს ხელშეკრულებანი საზარალო არ არისო. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს საბჭო, რა საშუალებით უნდა გამოარკვიოს საზარალოა თუ არა, მაგრამ რომ ეს საზარალო ვახლავთ. ვარდა ამისა რაც სთქვა ბ. ჟორდანიამ, რომ თორმეტ ხელშეკრულებაში თერთმეტი გაუქმებულია, და ამის გარდა ბ. ჟორდანიას სიტყვა, რომ მე 12-ე თითქმის არ არის საზარალოო. მაგრამ არის ერთი მუხლი, იმ ანდისისა არ იყვეს: ფონი კარგაო, მაგრამ ერთ ალავას ახრბობსო, არის ერთი მუხლი რომლითაც უზრუნველყოფილი არ არის ეს ხელშეკრულება და რომ იგი უზრუნველყოფილი არ არის, წარსულ კრებაზე, მინისტრმა გამოაცხადა ამ ხელშეკრულების ძალით ჯერ ერთი გირვანჯა პური არ შემოსულა, ღვინო და შაქარი კი აქედან გავიდა და თუ ეს ხელშეკრულება არ არის საზარალო და საჭირო, ამისთანა ხელშეკრულებებს მე დღეში ათას დაგიწერთ...

დღეს ამის ნაირი საჭონელი გაიტანეს და ვერაფერი შემოიტანეს. ამას ჩვენ ენაზე ჰქვიან საზარალო ხელშეკრულება, და ს.-დ. რა სახელს ემაზიან არ ვიცო, სოც.-დ. ენაზე უთუოდ ამას ჰქვიან არც საზარალო, არც თითქმის საზარალო, ან თითქმის არა საზარალო. ეს ბატონებო, რასაკვირველია საკვირველად არის ნათქვამი, რომ გაამართლოს მთავრობის მდგომარეობა, რომელიც გამართლებას ვერ აიტანს, და რომ ეს გამოწვეულია იმ სურვილით, რომ, მაინცა და მაინც, გაამართლოს მთავრობის მდგომარეობა, და მიმართოს სუყოველთვის საყვედურით იმ შემარჯვენე ფრთას, რომელსაც შემოაქვს შეკითხვები.

ბ. კიკვაძემ გვისაყვედურა შემარჯვენე ფრთა გეკარგვინებს დროსაო. თქვენ შემოგაქვთ უმთავრესად გამოურკვეველი შეკითხვებიო, და რამდენჯერმე გაიმეორა— თქვენ გეკარგვინებთ დროსო. ეს ბატონებო ტყუილი საყვედურია, რადგან ჩვენ სიყოველთაო ჩველებად შემოვიღეთ, როდესაც ჩვენ საკანონმდებლო დრო უფერ გათავებული გვაქვს, როცა ჩვენ შემოვიღეთ ყველა სოციალისტური კანონები და დრო მოვანდომეთ ნამდვილ აღმშენებლობის მუშაობას, მაშინ თავისუფალ დროს, გადაედიდვართ ხოლმე შეკითხვებზე მასლაათზე. ჩვენ ვიცით, ხმა მალდა მოგახსენებთ თქვენ ჯერ არ მიიღებთ, ამის წინააღმდეგ წახვალთ და ერთი ორი კვირის შემდეგ თქვენ ამას მიიღებთ, სწორედ ამაზე ვლაპარაკობთ, თქვენ თუმცა ამბობთ დროს გეკარგვინებთ ხოლმეო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კი ჩვენ ნათქვამს მიიღებთ ხოლმე, ეს ბ.



კიკვაძის საბასუხო ამაზე მეტის თქმა არავის არ შეუძლიან, რომ მართლა დროს დაეარტვა ირის.

მაგრამ ვადავალ არსებითად იმ შეკითხვის პასუხების განხილვაზე. გზათა მინისტრმა მოიკალა ამ საკითხზე, პასუხის გაცემისთვის სწორედ ორი კვირის შემდეგ. მე მაქვსო მთელი დასაბუთებული მოხსენებო, და ამ მოხსენებას რომ დავამზადებო, მაშინ გიპასუხებთო. სამი კვირის წინ რა გვითხრა?

პირდაპირ გვიამბო ზღაპარი თუ როგორ 17, 16 ადგილიდან სამინისტრომ ვერ შემოიტანა პური. შეკითხვა სწორედ იმაზე იყო, როგორ უნდა შემოეტანა სამინისტროს პური და რატომ არ შემოიტანა. ბ. მინისტრმა გვიამბო, რომ ბორჩალოს მაზრიდან, კახეთიდან, რუსეთიდან, მაშისონის უღელტეხილიდან, ეკატერინოდარიდან, ყველა ადგილები ჩამოთვალა, და დამტკიცა ყველა ამ ადგილებიდან ვერ შეგვიძლიან პურის შემოტანა, სხვა და სხვა მიზეზების გამოვო.

რასაკვირველია, ჩვენში, როგორც ბ. კიკვაძემ ბრძანა დროს და სიფრცის გარეშე არაფერი არ ხდება. მაგრამ როდესაც სასურსათო მინისტრი ხედავს, რომ პურის ძებნაში იმისთანა მდგომარეობაა, რომ არსაიდან პური აქ არ შემოდის. მაშინ ამ მინისტრზე ითქმის, რომ ეს მინისტრა არ შეეფერება თავის ადგილს, რომ ეს ასეა, რომ ის არ შეეფერება თავის ადგილს, განა ბატონებო თავიდანვე არ ვიკოდით. ბ. სასურსათო მინისტრს, რომელიც არის გზათა მინისტრიც, არ კი ვიკოთ რად ჩააბარეს და ან თითონ რად შიილო უჭვეული ხელობა. განა წინ და წინვე, თავიდანვე ვერ ვიტყვოდით რომ გზათა მინისტრი ვერ შესძლებს მოაწესრიგოს სასურსათო საქმე, ვერ მოახერხებს ამას, იმიტომ რომ ამ ხელობისა არა იკოდა რა. თქვენ მაინც იმას მივკოთ იმისთვის რომ უმაღლესი პოლიტიკური მოსაზრება იყო. (ხმა: ტენიკური) და არა ის, რომ ის გააკეთებდა რაშეს.

შეორე: როცა ა. ახმეტელმა დაასაბუთა, დამტკიცა, რომ სასურსათო სამინისტროში ხდება ბევრი ბოროტ-მოქმედება, ბევრი ისეთი რამე, რომელიც სრულიად არ შეეფერება სასურსათო სამინისტროს სისტემას, მაშინ მინისტრი გამობრძანდა მეორე მოხსენებით, გასაბათილებლად იმისა რაც ბ. ახმეტელმა დაასაბუთა და ბოლოში წარმოადგინა თავისი მოგონილი გეგმა.

რა სტევა მეორე თავის მოხსენებაში? მე კიდევ მოგახსენებთ, ამ გეგმაში გვიამბო მეორე ზღაპარი. მეორე ზღაპარში გვიამბო არა მარტო ის როგორ ვერ შემოიტანა სურსათი, არამედ ისიც თუ კვლავაც როგორ ვერ შემოიტანს: მან ჩამოთვალა ის ხელშეკრულებანი, რომელნიც შემდეგში, სრულიად გააბათილეს.

ამ რიგად სასურსათო მინისტრმა ჩამოთვალა ის ხელშეკრულებანი, რომელნიც ჩამოთვალა ახმეტელმა, მხოლოდ ბ. ახმეტელმა საბუთებით დამტკიცა, რომ ეს ხელშეკრულებანი საზარალოა, და სასურსათო მინისტრი ამტკიცებდა, რომ ეს ხელშეკრულებანი არ არის საზარალო, რადგან ვაგაბათილეთო. განა ეს გასამართლებელი საბუთი არის, რომ ესა თუ ის ხელშეკრულება საზარალოა, და ჩვენ ვავიგეთ?

როცა ბ. მინისტრი გამოვა და გვეტყვის ეს არის ის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველოში შემოვიდა ერთი მილიონი ფუთი პური, მაშინ ვიტყვით აი, ყოჩაღ მინისტრო, რომ პური შემოიტანე როცა გამოდის მინისტრი დიდი გულწრფელობით აღჭურვი-




ლი და აღნიშნავს, რომ მე ოცი ხელშეკრულება დაუდგვი დაგვიწესეს ერთი პური ვერ შემოვიტანე, ვბ მინისტრო... მაგალითად მგ... ვყოფილიყავი... ამ კათედრასე არც კი გამოვიდოდი. ეს არის პოლიტიკური სიკოტრის გამოშვლება.

განა პოლიტიკური სიკოტრის გამოშვლებას არ ნიშნავს, როცა მინათრულად მოდიან და გვეუბნებიან: რა უყო ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ეს საქმე კარვად ვერ მოაწყვე, როცა უკეთესი მდგომარეობა შეიქმნება მაშინ ამ საქმეს შემოვისწორებო. როცა ისე მოიქცევა სასგლმწაფო მოღვაწე, მაშინ ასეთი მინისტრები ჩვეულებრივ წესდობილობით გადადგებიან ზოდამე. ჩვენ კი გულ წრფელად გვეუბნებიან, რომ ეს საშინისტრო აქამდის საქართველოს მხნელი იყო და ამას იქით იმევე პირობებში დარჩება, როგორც აქამდის. მაგრამ საზოგადოდ რომ ითქვას, საქმარისი არ არის, უნდა შიქციოთ ყურადღება იმ მოვლენას, რომ ამ ხელშეკრულობათა რიცხვში არიან ამისთანა ხელშეკრულებანი, რომლებს უყარგისობა არა მარტო ეროვნულ საბჭოს წინაშე გამოშვლავდა, არამედ პირდაპირ შექმნა რაღაც ეჭვი, გაუგებრობა, დაეჭვს და გაუგებრობას იწვევს მსხვერულში.

მაგალითად. აქ შოგისშინეთ პირველათ იქეთი ხელშეკრულება სადაც ბ. ლავასოვს უზურდავებენ 80000 ფუთი პურის დირებულობის ჩიკებს. უზურდავებს საშინისტრო. ხელშეკრულობას აძლევს და ამის წინდარს იქერს 5,000 მანეთს. და ამ 5,000 მანეთი თავის ჯიბიდან კე არ აძლევს ლავასოვი, საშინისტრო იქერს ამ ფულს იმ ჩეკიდან რომელსაც უზურდავებს, ასეთი კომზინაცია მე არ ვიტყვი რომ პანამა არის, მაგრამ ასეთი კომზინაცია, რომ ქუჩაში ან ბაზარში მომხდარიყო, უეკველია ჩვენი სპეკულიაციის კანონი, სასტიკ სასჯელით, ათი წლის კატორღამდი დასჯიდა და ესლა კი ახალი კანონით რომლითაც თქვენ შემოდისარათ, თითქმის სიკვდილით დასჯით. ასეთი კანონებით ერთითაც და შერობითაც ამ ხელშეკრულებათა დაშწნით უნდა ჩანისვას ცხებში.

ასეთი ხელშეკრულება, ასეთი სასპეკულიაციო ხელშეკრულება ხდება თურმე ჩვენ საშინისტროში, და ბ. კიკვიძემ სკადა გამოართლებინა ერთად ერთი ხელშეკრულება დადებული ბ. ტავიცითან იმით, რომ წაგვიკითხა ორი დეკემბ. არ ვიცი საიდან მიღებული, რა გურიაში ან სადაღაც სოფელში შიმშილობა არისო. ჩასაცვირველია შიმშილი ისეთი საშინელი მოვლენაა, რომ გულსვილ ადამიანს დააკარგინებს გზა და კვალს, წყალში ან ცეცხლში გადავარდება. მაგრა როცა სასურსათო საშინისტრომ ისე მოაგვარა საქმე, რომ ორ ვაგონს პურში აძლევს ორ ვაგონ შაქარს, და გულუბრაყველად და თამამად ამბობს, არ ვიცი ფსხი პურისა და შაქრისა, შემოძლიან გავცვალო ერთი ერთმანეთშიო. არა მარტო საშინისტრომ და საბჭომ უნდა იცოდეს, ქუჩაში რომ გახვიდეთ და ჰკითხოთ გამვლელ გამოშვლელს—იბანაც იცის, რომ არა მარტო აღერბეიჯანში, სადაც ჩვენ მინისტრს ხელი არ მიუწვდება, არამედ აქაც, საქართველოში, შაქარი უფრო მეტს ფასობს.

რა გახდა ეს ტავიცივი, რა ჯაღო გვიჩვენა, რომ იმას 2 ვაგონ პურში ვაძლევთ 2 ვაგონ შაქარს. ეს კიდევ გასაკვირველი არ იყო. იმავე დროს, იმავე გაჭირებულ დროს, როცა მე დარწმუნებული ვარ ის ტავიცივი რომ საშინისტროში იყო, ან ყოველ შემთხვევაში კიკვიძეს პოროფელი, როდესაც იმავე საშინისტრომ სხვას ბ. ნარსიას ორ ვაგონ შაქარში მოსხობევს 10 ვაგონი პური. მე არ მესმის თუ ასეთი გაჭირვე



ბული მდგომარეობა იყო, რომ ტაგიევს მ. ვაგენ პური ში შაქარი ვაძლიეთ, რა დააშვა ამ ნარსიამ, რომელიც, ბოლოს და ბოლოს ციხეშიაც ჩასვეს, რა დააშვა ამ ნარსიამ, რომ იმას მოსთხოვეს 10 ვაგონი პური ორ ვაგონ შაქარში.

ასეთი საქმეები, როდესაც არსებობენ სამინისტროში, როდესაც არსებობენ სახელმწიფოში, ამას ჩვეულებრივ ენაზე უძახიან ბოროტ-მოქმედებას, თქვენ-კი გინდათ ამისთანა ბოროტ-მოქმედება გაამართლოთ იმითი, რომ საშინელი მდგომარეობა იყო.

ბატონებო საშინელ მდგომარეობის თავიდან ასაშორებლად, განა ამისთანა მინისტრს დანიშნავენ? საჭირო არის ამ საშინელ მდგომარეობაში იქმნეს მოწესრიგებული სისტემა ჩვენი შთაფრობის მოქმედებისა.

გზათა მინისტრმა სთქვა აქა: მე, როდესაც აქ მისაყვედურებენ სასურსათო საქმის მოუწყობლობას, ან გზათა მოუწყობელ მდგომარეობას, სრულიათ ფიწყვდებით ობიექტიური პირობებით. იმას ალბად დაფიწყდა ის სიტყვები, რომელიც ერთხელა სთქვა შან: ახირებული ხალხია ეს ნაციონალ-დემოკრატები, როცა ერთ საქმეზე არის საკითხი, უეჭველად 18 საკითხს გადააბამენ, და შთაფრობა უნდა აღაპარაკონო, როდესაც თითონ ჩაუარდა უხერხულ მდგომარეობაში სასურსათო საქმის გამო. იმან მოიხსენია, რომ ფინანსთა მინისტრმა ფული არ შოაწოდა დროზე, რომ რკინის გზა არ არისო მოწესრიგებული, შთიხსენია, რომ ბოლშევიკების მოძრაობა ვერ ჩაუქრეთო; ის შეკითხვა, რომელიც ჩვენ შემოვიტანეთ ოსებზე, ისიც კი დაადსტურა— ოსებში არეულობა იყო და პური დროზე ვერ მოვიტანეთო. მაშ შეუძლებელია, რომ ყველა საკითხი, როგორც სასურსათო საკითხი, ისე სხვა საკითხიც არ იყოს გადაბმული ერთი ერთმანეთთან. ამატომ რაკი ყველა საკითხი ერთი ერთმანეთზე გადაბმულია, ნუ გვიკვირებთ, რომ ჩვენც ერთ საკითხზე მეორეს გადავაბამთ ხოლომე.

თქვენ კარგად იცით რომ გზები, რომლებიც არეულ-დარეულ მდგომარეობაში არიან დღეს, ისე, რომ მათი საშუალებით რისიმე გატან-გამოტანა ძალიან ძნელია, ჩაბარებული აქვს იმავე სასურსათო მინისტრს. რატომ აქვს, მე არ ვიცი. მაგრამ ისე ხალხში ლაპარაკობენ, ბატონებო, რომ გზათა მინისტრს იმიტომ ჩააბარეს გზები, რომ თავისი გზა ვერ უპოვებიაო...

მე გგონია, რომ ამის შემდეგ ასევე მდგომარეობა შეუძლებელი უნდა იყოს, იმიტომ რომ შეუძლებელია ასეთი დიდი საქმე, როგორც არის რკინის გზა ჩააბაროთ იმისთანა პირს, რომელიც სპეციალურათ ამისთვის არა მარტო არ ემზადებოდა, სრულიად ფიქრადაც არა პკონდა, თუ ეს შესაძლებელი იყო.

მე ამას თამამად ვერ ვიტყვი, მაგრამ შესაძლებელია, ვიფიქროს რომ მინისტრი ორთქშავალს ვერ აჩვენებს ვაგონისაგან (სიცილი) და ამისთანა მდგომარეობაში აყენებთ იმ პირთ, რომლებმაც უნდა გადმოზიდონ თქვენი სურსათი, თქვენი ჯარი, და მოაწესრიგოს მთელი ქვეყნის საქმე.

ბატონი მინისტრი, ჩემდა საუბერუროთ აქ არა ბრძანდება (მინისტრი რამიშვილი: — სწორეთ იმიტომ ვერც ლაპარაკობთ!) არა, იმის დროსაც ვილაპარაკე, ნუ გავიკვირდებათ.



იტყვიან—რად აშ მინისტრს ჩააცვიდითო. ჩვეულებრივად იტყვიან, რომ ესეთი მდგომარეობა არის უცილებლად მისი ბრალი, იმის ბრალია, იმიტომ რომ მან ვაშენდობა იქონია, და მოჰკიდა იმ საქმეს ხელი რომლის წარმოება არ შეუძლიან.

როდესაც აქ ლაპარაკი იყო იმაზედ თუ ბატონმა მინისტრმა რატომ ვერ შემოიტანა აქ სხვა და სხვა სურსათი, სხვათა შორის, გაკვირვით დასაზღველეს აქ ერთი პირი, გვარად მაშინაიშვილი, რომელსაც ბატონმა მინისტრმა დააეღა 1000 სული საქონელი შემოეყვანა. იმ შაქრის რაოდენობისა, რამდენადაც ჩვეულებრივი ფასით, რომელიც დღეს არის, შეიძლებოდა შემოეყვანა 10000 სულისა. რატომ გაუკეთა ასეთი „ლგოტა“ მაშინაიშვილის სასურსათო მინისტრმა, ჩვენ არ ვიცით მაგრამ ერთი კი უნდა ვსთქვა—ასეთი ლგოტის გასამართლებლად არა ჩვეულებრივი, მე ვიტყვი უცნაური განმარტება მოგვცა, რომ ყოველთა შეუძლებელია, რომ ეს არ აღწესდეს და არ განვმარტო.

ბ. მინისტრმა გვითხრა, რომ მაშინაიშვილს იმიტომ მიეცეო ეს პირობა, რომ იმან იყისრა იმ დროს საქონლის ჩამოყვანა. აღწერბიჯანიდან აკრძალული იყო საქონლის შემოიტანაო. მე ადგილიდან უთხარი—მაშ როგორ, კონტრაბანდითაო?—მე არ ვიციო, კონტრაბანდით იყო თუ არა, —მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონმა მინისტრმა იცოდა, როცა ამბობდა, ჩვენ მაშინაიშვილს 1000 საქონელში შაქრს ვაძლევთო მაშინ როდესაც აკრძალული იყო განჯიდან საქონლის გამოტანა, —თქვენ რა სახელს უწოდებთ არ ვიცი, მაგრამ ჩვეულებრივ ენაზე ამას კონტრაბანდით საქონლის შემოტანა ჰქვია.

ბ. გზათა მინისტრმა და სურსათის მინისტრმა, სხვათა შორის, გაკვირვით ისიცა სთქვა, რომ ხოშტარიას და სხვებს ჩვენ იმიტომ არ მივეცით ხელშეკრულობაო, რომ ჩვენ ვებრძვიით ამ მესამე კლასსაო. ეს საპასუხოდ უთხრა ბატონმა ახმეტელმა, იმ კლასს, რომელსაც ებრძვიან იმას არ აძლევენ ხელშეკრულობას, მაგრამ იმავე დროს, იმავე კლასიდან მოჰყავთ ისეთი პირები, როგორც არის მაშინათვის, როგორც არის მალაღაშვილი, კობაია და სხვები, და ამ პირებს, რომელთაც გაცილებით ნაკლები პასუხისმგებლობა შეუძლიანთ, აძლევენ იმავე ხელშეკრულობას.

აქ კიდევ ერთი უცნაურობა ხდება. გზათა მინისტრი ამბობს, რომ ეს ხელშეკრულობა თითქმის იგივე არის, რაც ხოშტარიას ხელშეკრულება, —თითქმის იგივეა, მხოლოდ ერთი მუხლი არის შეცვლილი—ეს ლაგის საკითხი, ესე იგი რუსულ ფულის გადასახურდავების საკითხი, და იმავე დროს ბ. პრეზიერ-მინისტრი ამბობს, რომ ეს ხელშეკრულება არ არის იმნაირად საზარალო. მე, ვერ წარმომიდგენია, თუ ეს ხელშეკრულობა ისეთივეა, რატომ ერთთან დასდეს, და არა მეორესთან. და თუ იგი არის საზარალო, რატომ იგი არ დასდეს იმასთან, ვინც პირველი იყო.

მე აქ არ გამოვდივარ ხოშტარიას დამცველად პირიქით, კარგ განწყობილებაში არა ვარ ბ. ხოშტარიასთან, მაგრამ, როდესაც საკითხი დგება იმაზე—ვის მისცენ ამისთანა საქონელი, იმას ვისაც უნდა საქმის გაკეთება, საქმის მკოდნე აღმოიანს—იმას კი ვარ აძლევენ და მისცენ იმათ, ვისთანაც უზრუნველ ყოფილანი არიქნებია.

ერთი საზოგადოება არის „კომერსანტი“, რომელშიაც შედიან სწორედ ის პირები, რომლებიც აქ ჩამოგითვალეთ, და აი ამით მისცენ



ის ხელშეკრულება, რომელიც არ მისცეს სხვა მკოდნე პირებს, მისცეს ისეთი პირობებით, რომლებიც, რომ წაიკითხოს შკოლის. 2-ე მუხლის მე-3-ე პუნქტში, ისიც კი გაიგებს, რომ ასეთი პირობის დადება ყოველ შემთხვევაში უღებელია, და ამ პირობებს უღებს იმ საზოგადოებას, რომ შემოიტანოს 6 მილიონ ფუთი პური, თქვენ უთუოდ წარმოდგენილი ვაქვთ თუ რა ელირება ეს 6 მილ. ფუთი პური დღევანდელ პირობებში. როდესაც ამ 6 მილ. ფუთ პურზე ხელშეკრულებას სდებენ, ამ დროს ეუბნებიან მათ რომ თქვენ უნდა შემოიტანოთ 250 ათ. მან. საწინდარი. ეს არის უზრუნველ ყოფა ამ საქმისა?

ესეთი უცნაური ამბავი გამოირკვა, ბ. ახმეტელმა სთქვა რომ ის, 250 ათ. მან. არ შემოიტანა, ესეც არავინ არ გააბათილა, ჩვენ მხოლოდ გვითხრეს, რომ კომერსანტა დაუგირაფა სახლი ვიღაცა ჩიკოვანისა. ამ საზოგადოებას, რომელსაც ასეთ პასუხისმგებლობა აქვს, რომ იმას ვერ შემოაქვს 250 ათ. მ., და ისინი უფირავებენ კერძო პირს, ერთ ერთი მონაწილეს სახლს, ასეთ საზოგადოებას აძლევენ საშუალებას შემოიტანონ 6 მილ. ფუთი პური. ასეთი ხელშეკრულება მე არას დროს არ წარმომიდგენია—და როდესაც დიდის სიხარულით ბ. ნ. ეორდანი ვეუბნება ამ ვათედრიდან რომ—ჩემი რევიზია, სახელმწიფო კონტროლიორის რევიზიის მოქმედება ერთმანეთს ეთანხმებიანო, რომ ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ ყველა ხელშეკრულებები საზარალოა და გასაუქმებელი არის, ამის გამო, მე მინდა ეს სიხარული ცოტაოდენ გავფანტო, იმიტომ რომ სისახარულო მაინც და მაინც არ არის, როდესაც 12 ხელშეკრულებაში 11 საზარალოა და მე 12-ეც იმისთანა მდგომარეობაშია, როგორც ბრძანა პრემიერ მინისტრმა, რომ მხოლოდ უნდა გადავაკეთოთ, და შემოვიღოთ, ეგრეთ წოდებული, „круговая порука“.

თი დაახლოვებითა ის მოხსენება, რომელიც წაგვიკითხა პირველად გზათა მინისტრმა.

მეორე მოხსენებაში, რომელიც აქ წაგვიკითხა, ერთი დასკვნა გააკეთა—რომ ამიერიდან სასურსათო სამინისტრო გაუქმებული იქნება, და მის მაგივრად შესდგება ეგრეთ წოდებული, სასურსათო საბჭო.

ჩვენ გავისხენებთ ქ. კიკვაძის სიტყვას, რომ ამიერიდან ჩვენ შემოვიღებთ უსასტიკესი სასჯელის კანონს და მთელი საბჭო მიიღებს ერთ ხმად, ს. დ. უზრავდენობით ხომ მიიღებს—და ამავე დროს ამბობენ, რომ სასურსათო სამინისტროს მაგივრად იქნება შემოღებული სასურსათო საბჭო, ჩვენ ასეთი აზრი შეგვიძლიან მოგვივიდეს;—რაც უნდა იცვლებოდნენ პირები, რაც უნდა იცვლებოდნენ სახელები, საქმე ისევ ისეთი დარჩება. კრილოვმა სთქვა:—როგორც უნდა დასხედეთ, მუსიკანტებად არ გამოდგებითო; როგორც გინდათ დაარქვით, სამინისტრო თუ საბჭო, რამდენ კაცსაც გინდათ მოუყარეთ თავი ისეთი წესით, რომელიც თქვენ გინდათ საზოგადოთ უწყებაში საქმე წაიყვანოთ, ისეთი წესით საქმეს წინ ვერ წასწევთ. დავრწმუნდებით ერთი ორი თვის შემდეგ უახლოვდეს დროს, რომ ეს თქვენი ახალი ორგანიზაცია ისეთივე შვედარი და უნადავგოა (ხმა ნ. დ.—უფრო უარესი). იმიტომ რომ ამ ორგანიზაციაში თქვენ შეგყავთ არა რომელიმე სალი ძალები, სალი ელემენტები. თქვენ სცვლით სახელებს, ხალხის რაოდენობას, მაშინ, როდესაც მთავრობის დიკტატორმა, რკინის გზის დიკტატორმა ვერაფერი ვერ გააწყო. თქვენ გინდათ ამ დიკტატორმა დაარსოს ახალი საბჭო, შედგენილი კოოპერატივების, წითელ გვარდიის

წარმომადგენლებსაგან. არ ვიცი რა კავშირი აქვთ... (ხმა-ბეგრს სქამაქი)
 არ ვიცი, რად დასჭირდათ წითელ გვარდიას წარმომადგენლები. აი ხმა-
 ქო ხომ ვართ, დაესხდეთ და სასურსათო საქმე ვაწარმოოთ. არ მინდა
 თქვენ არ იცით, რომ რაც უფრო გააფართოვებთ შემადგენლობას, მით
 უფრო გაართულებთ საქმეს და ვერაფერი ვერ გაკეთდება. მე მოგიყ-
 ვანთ მაგალითებს თუ რატომ ვერ მოახერხა სასურსათო სამინისტრომ
 პურის გაჩენა. ჩვენ ვამბობთ, მაშინ როდესაც ერთ კაცზე-არღიშვილზე
 იყო დამოკიდებული, სადაც ხელიდან სტაცებენ ყველა ძველ საქო-
 ვერ მოხერხდა რომ თბილისის საწყობებიდან გაეტანა და ხორბალზე
 გამოეცვალა სოფელში, სადაც ხელიდან სტაცებენ ყველა ძველ საქო-
 ნელს, ძველ რკინიუღობას და ტანისამოს, ვერ მოახერხეს, რომ სო-
 ფელში გაეტანათ ორი ვაგონი საქონელი და პურზე გაეცვალათ.


ამ დროს თქვენ შექმნილ კიდევ სამინისტროს, ამ სამინისტროს
 გადასცემთ თქვენ ყელა საქონელს და საქმის მოგვარებას. ჩვენ ვიცით
 რომ ამ გადაცემ გადმოცემის დროს ეს საქონელი ნელ ნელა ქრება
 თუმცა მთავრობა დიდის რიხით აცხადებს, რომ როდესაც ჩვენ ყურამ-
 დინ მიაღწევს ამისთანა ამბავი, ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთო. კიკვაძე
 ამბობს, რომ მთავრობამ უკვე მიაქცია ყურადღება და უსასტიკეს ზო-
 მებს იღებსო—ამაზე ნათქვამია, სოფელში ახალ მამასახლისს იმიტომ
 ვირჩევთო, რომ ეყო ძველს ის რაც სქამა, —ახლა სხვამ უნდასქამოსო.
 მდგომარეობა ფაქტიურად ასეთია.

რასაკვირველია, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი მი-
 ნისტრი ამას არ იფიქრებს, რომ ახალი პირი ირჩევა იმისთვის, რომ
 ძველს ეყო და ახლა სხვამ უნდა - ისარგებლოსო, მაგრამ ფაქტიუ-
 რად ასეა.

ფაქტიურად მთავრობა ზომებს იღებს, რომ ამითი ეს დამნაშავე
 პირები დაისაჯონ და ბოროტ მოქმედობას ბოლო მოეღოს, —ამას იმით
 კი ვერ მიაღწევს, რომ ერთი პირის მაგივრად მეორეს დასვაშს. ეს საქ-
 მარისი არ არის. ამ სისტემით ამ ბოროტ მოქმედების მოსპობა ყოვ-
 ლად შეუძლებელია. ისეთი ორგანიზაცია არის შექმნილი, რომ ერთი
 ორგანიზაციიდან მეორეში ისე ვერ გადაიტანთ საქონელს, რომ გატა-
 ცება არ მოხდეს, თქვენ ვერც კი იპოვნით იმ ჯგუფს, იმ პირს რო-
 მელსაც თქვენ თითქმის სიკვდილით დასჯა უნდა გადაუწყვიტოთ.

როდესაც ამისთანა მდგომარეობა არის, ძნელია ლაპარაკი იმ რე-
 ორგანიზაციაზე, რომელსაც თქვენ ახდენთ.


მაგრამ გადავიდეთ თვით არსებით საკითხზე. საქმე იმაშია, არის
 რამე საშუალება, რომ სპეკულიაცია და სიძვირე მოისპოს, თუ არა,
 რასაკვირველია სუყველა თავს იმართლებს იმითი, რომ ობიექტიური პი-
 რობები ისეთია, რომ არ შეიძლება სპეკულიაციასთან და სიძვირესთან
 ბრძოლაო. ისეთი ბრძოლა, რომელიც ვააუმჯობესებს საქმეს, მაგრამ,
 ამის და მიუხედავად, ჩვენ მიგვაღებინეს საგანგებო რაზმი, რომელზე-
 დაც იძღვნი ფული ისარგება, რომ ამის სამაგიეროდ პური რომ გვე-
 ყიდნა მთელი წელს გაგვწლებოდა. ჩვენ მიგვაღებინეს ისეთი სასტიკი
 კანონი, ერთი გირფანა რომ მიუიღოს კაცმა მანანდის ზევით, შეიძლება
 იგი გაგზავნოთ ციხეში 1 წლიდან 10 წლამდის. ამის და მიუხედავად
 თქვენ ყოველ დღე წაიკითხავთ, რომ პურის სიძვირე დღითი დღე
 ვრცელდება. ამას წაიკითხავთ არა მარტო კონტრევოლუციონერთა
 გაზეთში, არამედ თვით „ერთობა“-ში, რომ არცე დარევა კვლავ არსე-



ბოძს. ეს სასტიკი კანონი არ შეეღლის ამ საქმეს, მაგრამ, როდესაც ეს კანონი უნდა გამოგვეყენოთ თქვენ დაგავიწყდათ, რომ ის ოპორტუნული შედეგადაც თქვენ ამბობთ, რომ დროს გაკარგვინებთ, მაშინ გეუბნოდით, რომ ამ სასტიკ კანონის გამოცემის შემდეგ ზოგიერთი საქონელი ბაზარზე გაქრებოდა. თქვენ, რასაკვირველია, ამაზე ამბობდით, რომ ეს დროს დაკარგვია, მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ დროს დაკარგვა სწორედ იმ კანონის გამოცემა იყო და ამას უნდა მიექცეს ყურადღება. სწორედ თქვენს კანონის გამოცემის შემდეგ ქალაქის თვითმმართველობამ გამოსცა ნიხრი და ამ ნიხრის გამოცემის შემდეგ ვერ იშოვნით ასეთ საქონელს, როგორც მაგალითად, კართობილი, კომპოსტო და სხვა, რადგან ქალაქის თვითმმართველობამ დააწესა ისეთი ნიხრი, რომელიც შეეფერება იმ საქმეს, იმ გვარს, რომელიც იმ დღეს, ამას წინად მე დავასახელე, თუ რა საშუალებით აწორებენ ნიხრსა. მე მოვიყვანე მაგალითი, რომ ერთი საღდათა ქალაქის თვითმმართველობაში, გვარად კრეტინინი აწესებდა ნიხრს შემდეგ საშუალებით, რომ აურევდა ხილს ერთი ერთმანეთში და შემდეგ საშუალო ფასს ადებდა. აი სწორედ ასეთი ნიხრი გამოსცა ქალაქის თვითმმართველობამ. მან დააწესა კომპოსტოზე 7 მანეთი მაშინ, როდესაც გზათა მინისტრის საშუალებით კომპოსტოს გადნატანა ქალაქ გორიდან ქ. თბილისში ჯდება 12 მანეთი. თქვენ შითხარით, რომელი შეგნებულ ადამიანს შეუძლიან, ან შეუძლებელს, თუნდაც სოციალდემოკრატს, რომ გორში თუნდაც სულ უბრალოდ დაყრილი კომპოსტო მოიტანოს ქალაქში და რაც 12 მანეთად დაუჯდა ის 7 მანეთად გაყიდოს? ეს შეუძლებელია. მაგრამ ამ შეუძლებლობას, რასაკვირველია, არად მიიჩნევენ ბატონი კიკვაძე და არსენიძე, რომელთაც ჰგონიათ, რომ სისატიკით რასმეს ბეკეთებენ. იმ კაცს, რომელსაც არ შეუძლიან, ჩასვამენ ციხეში და 10 წლის კატორგას მიუსჯიან, რადგან მან შესწყვიტა კომპოსტოთი და კართობილით ვაჭრობა და ამით ხელი შეუწყო სპეკულიაციას. მე თქვენ გეკითხებით ვინ შეუწყო ხელი სპეკულიაციას? შეუწყო ამ კანონმა და მე გგონია, რომ ამ კანონის აქტორები უნდა გაემგზავრონ კატორგაში.

თქვენ შეგიძლიანთ იშოვნოთ კარტოფილი 5 თუშნად, კომპოსტო 6 თუშნად, მაგრამ რა თქმა უნდა ჩვენ სასტიკ კანონმდებლებს ჰგონიათ, რომ ამით მიაღწევენ მიზანს და სპეკულიაციას მოსპობენ. ჩვენ ვამბობთ, რომ თუ თქვენ საქართველოში, ან თბილისში იბოვით ისეთ ვაჭარს, რომელიც ნიხრზე რასმე იყიდის ან რასმეს გაჰყიდის მაშინ სასწაული იქნება. ამას მე წარსულ კრებაზედაც ვამბობდი, იმიტომ, რომ თქვენ უნდა გამოგვეყენოთ ეს კანონი. დღეს, როდესაც ეს კანონი ტენიკურად დამთავრებულია და დღეიდან თუ არა ვცდები, იგი შედის ძალაში—მე თქვენ კიდევ გეკითხებით, აი როდესაც იგონებთ ასეთ სასტიკ კანონს, აი თქვენ ბატონო კიკვაძე, ამ კანონით შეგეძლოთ გუშინ ან დღეს ნიხრზე რომელიმე საქონლის სყიდვა? რატომ არ ზიხართ ციხეში? იმიტომ, რომ ადვილია გამოცემა კანონისა, მაგრამ ცხოვრების ყირაზე შეყენება შეუძლებელია.

მე თქვენ გეკითხებით, არის თუ არა სხვა საშუალება, რომ ასეთი მდგომარეობა მოისპოს? აი თუ ამ საშუალებაზე გადავალთ, უნდა გითხრათ, რომ ის ამბავი, რომ აი ფოთში მოვიდა 114 ათასი ფუთი პური, შეიძლება ტყუილიც იყოს. ამ ამბავმა, მხოლოდ ამბავმა, ჯერ პური არ გვინახავს, უკვე დასცა პურის ფასი ბაზარზე, მოდიან აუარე-



ბელი ვაჭრები და ვაჭარეობით, გაცხარებით გვეყობებინან მართალია თუ არა, რომ ფოთში 114 ათასი ფუთი პური მოვიდა, მაშინ ჩვენ ვაჭარეობები დაგვეტყობათ. წარმოიდგინეთ გლენ-კასო, სპექულაციულად ვაჭარეობა რანაირად ისჯება, როდესაც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნა, შეიძლება რომ თვითონ წაიფიდეს, და ყელი გამოიჭრას ან და თავი ჩამოიხრჩოს. (სიცილა).

ჩვენ ვამბობთ, რომ რესპუბლიკის მთავრობის მთელი ძალ-ღონე იქითავენ კი არ უნდა იყოს მიმართული, რომ სასტიკი კანონი გამოიკეს, არამედ იქითავენ, რომ თვითონ მოიტანოს საქონელი, პური.

შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ეს პური შემოტანილი ყოფილიყო? მე ვამბობ, რომ შესაძლებელი იყო.

თქვენ ვაქვთ იმისთანა საქონელი, რომელიც სახელმწიფოს მიზნისთვის ჩვენ მდგომარეობაში საჭირო არ არის. ეს ვერ შესძელით, ეს საქონელი ვერ გაიტანეთ სოფელში, და ვერ გამოიტანეთ იქიდან პური.

თქვენ ვერ შესძელით, რომ იმისთანა ძალებს ემოქმედნათ, რომელიც საჭირო იყვნენ. თქვენ ვერ დააკმაყოფილეთ სოფელი რკინეულობით და სხვა.

თქვენ ვერ შესძელით შეორცე:—ის პური, რომელიც არის საქართველოში, ვერ შესძელით გამოგეტანათ, იმიტომ, რომ თქვენი მიწის დეკრეტით შეაგროვეთ ეს პური და დაშალეთ სოფელში. თქვენის კანონმდებლობით ეს პური დაიშალა სოფელში. აქამდის კარგი თუ ავი იყო ეს წესი, აქამდინ ეს თავად-აზნაურობა, რომელიც დღეს გაუქმებული არის, იმ პურს, რომელსაც ის იღებდა ღალის სახით, გამოჰქონდა ბაზარში და ყიდდა. თქვენ რომ თავად-აზნაურობა გააუქმეთ, მოიხპო ეს ღალა. მიწის დეკრეტი გამოეცით, და რაკი აქვეყნებდნენ ამას, როგორც სახელმწიფოს მოთხოვნილებას, ამის უნარი მაინც უნდა გამოგეჩინათ, რომ ეს ღალა, რომელიც ეკუთვნოდა სახელმწიფოს, სახელმწიფოს ჩავარდნოდა ხელში, და გამოსულიყო ბაზარში. როდესაც ეს გამოვიდოდა ბაზარში, მაშინ პურის ფასი უეჭველად გაცილებით შემცირდებოდა.

რადგანაც ეს საშინისტრო და მთავრობა, ამ სახელმწიფოს თვალსაზრისანი მოეკიდა ამ კითხვას და მხოლოდ სასტიკი ზომებით, ისეთი ზომებით ებრძოდა სპექულიაციას, ისეთ მიზანს მიახწიეთ, რომ პური კი არ იაფდება დღითი დღე ძვირდება.

მაგრამ სასურსათო საშინისტროს რეორგანიზაციაზე მინისტრმა არაფერი გვეთხრო დასამშვიდებლად.

ბევრი გველაპარაკა მარილზე, მოცვის ჩაზე.

მარილის საკითხი, სხვათა შორის, უნდა ესთქვა ამ მდგომარეობაში იყო, მარილის ფასი დიდი იყო 80 შ. ფუთი, როდესაც მარილის შემოტანა მოახერხეს, კერძო პირებმა შემოიტანეს, მაშინ მარილის ფასმა დაიწია 8—9 მანეთამდე.

ასეთი მაგალითებით რომ ხელმძღვანელობდეს სასურსათო საშინისტრო, მაშინ მიხედებოდათ, რომ ბრძოლა სასტიკი კანონმდებლობით კი არ არის საჭირო, მარტოოდენ საქმისთვის, არამედ—ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობა.

ამისთვის მაინც და მაინც ბევრი რამ არ იყო საჭირო, ამისთვის სჭირო იყო გამოყენება იმ ძალებისა, რომელიც არის ჩვენ ქვეყანაში მოზიდვა იმ პურისა, რომელიც არის ჩვენ ქვეყანაში.



ბ. ახმეტელის შეკითხვის საგანზე.


ბ. ახმეტელს აქ დაუწუნეს უსაბუთობა და უსაფუძვლობა შეკითხვისა.

მე გულახდილად უნდა მოვახსენოთ, რომ ჯერ ჩვენს საბჭოში ასეთი დასაბუთებული შეკითხვა არ შემოტანილა, და ამის დამტკიცება სრულიათ ადვილია. ეს უპირველესად ყოვლისა დამტკიცა სასურსათო მინისტრის სიტყვამ და მერე თვით მთავრობის თავმჯდომარის აქ გამოსვლამ და იმის სიტყვამ.

მართლაც, ბატონებო, არც ერთი მთავარი დებულება ბ. ახმეტელის შეკითხვისა არ იყო აქ უარყოფილი და გაბათილებრილი და ამასთან გავიხსენებ იმასაც, რაც საბჭოს წინაშე ბრძანა ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ, როდესაც შეეხო ამ 12 ხელშეკრულებას, რომელიც სასურსათო სამინისტროს დაუდევს სხვა და სხვა კონტრაგენტთან, და აღმოჩნდა, რომ ამ 12 ხელშეკრულებაში 11 სრულიად შეუწყნარებელი და უფარგისია და ერთი კიდევ ოდნავ სავარგისია. მე მგონია, რომ ასეთი დასაბუთებული შენიშვნისა და ავტორიტეტულ მოწმობის შემდეგ სრულიად აზრი არა აქვს ბ. თ. კაკაძის აპოლოგიას.

რა უსაყვედურეს ბ. ახმეტელს? ბ. ახმეტელს უსაყვედურეს მხოლოდ ის, რომ ეს შეკითხვა დაგვიანებული არის, რომ იგი შემოტანილია მის შემდეგ, რაც მთავრობის მიერ უკვე დანიშნული იყო რევიზია. გარდა თვით მთავრობის მიერ რევიზიის დანიშვნისა მთელი სასურსათო უწყება გაუქმებული არის და ახალი ორგანო შექმნიესო. ეს განცხადება უკვე იმას ამტკიცებს, რომ ბ. ახმეტელის შეკითხვა საკმაოდ არის დასაბუთებული. ვიმეორებ, რომ ბ. ახმეტელს მხოლოდ ის უსაყვედურეს, რომ მისი შეკითხვა დაგვიანებული არის, რომ თურმე 14 აგვისტოს სახელმწიფო კონტროლიორმა სიტყვიერად განაცხადა, რომ სასურსათო უწყებაში ყველაფერი რიგზედ არ არის, და საჭირო არის რევიზიაო, და 17 აგვისტოს კი ბ. ახმეტელს უკვე შეკითხვის შემოტანა გადაუწყვეტიაო. ვამოდის რომ ბ. ახმეტელს ეს გაუგია და დაუსწრია შეკითხვის შემოტანა. მე ასე არა მგონია, მე ბ. ახმეტელის გულში ხელის ფათურს ვერ დავიწვებ. მე ვამბობ, რომ ბ. ახმეტელის შეკითხვა როდესაც შემოტანილი იყო, სასურსათო სამინისტროს მდგომარეობა, ამ უწყების მდგომარეობა საერთოდ ისეთი იყო, რომ ამ შეკითხვას ადგილიც ჰქონდა და აზრიც ჰქონდა, თუმცა შეკითხვის აზრი არც დღესაა დაკარგული. თუ შეკითხვის შესახებ კმათი აღიარა იმის შემდეგ, რაც რევიზია დანიშნა ბ. ახმეტელის ბრალი არ არის, ეს იმის ბრალია, რომ სხვა საკითხები, სხვა კანონპროექტები ჰქონდა საბჭოს სასწრაფოდ განსახილველი.

როდესაც ბატ. ახმეტელმა შენიშნა სასურსათო საქმის მინისტრის მისი გაბედულების შესახებ, უკანასკნელმა ტყუილ-უბრალოდ სრულიად საშინლად იწყინა ეს შენიშვნა და აღშფოთებულმა პასუხი გასცა ბ. ახმეტელს, მაგრამ მე მგონია თვით შენიშვნა, ბ. ახმეტელისა სრულიად არ შეეხება ბ. ლორთქიფანიძის პიროვნებას. რასაკვირველია, მე ვეთანხმები ბ. ლორთქიფანიძეს და ყველა ჩემთან ერთად აღიარებს. რომ მის პიროვნებას აქ არავინ შეეხება და არც შეეხება. ჩვენ ვიცით, რომ ის განცხადება, რომელიც მან აქ გამოიტანა პასუხად ბ. ახმეტელისა, რასაკვირველია სრული ქეშმარიტებაა, რომ მის გაბედულებას



ნებენ, რომ მოგხსნია, აი ასეთ წინადადებას. მე გგონია ეს წინადადებაა რომ ამის მოხსნა მე არ შემიძლიან.

თაყმედობაჲ. (აღ.) მე მოგხსნი ამ წინადადებას, და გერე შე-
მოვიტან (რ. არსესიჲ არ შეიძლება მოხსნა). მე მოგხსნი ამ წინადადე-
ბას, რადგანაც ასეთი მდგომარეობა ყოველად შეუძლებელია, ჩვენ იმუ-
ლებული ვართ ძირითადი საკითხი, რადიკალური საკითხი, საკითხი ყოფ-
ნა არ ყოფნისა დავსვათ, სანამ საბჭო...

თაყმედობაჲ. უკაცრავად, სამწუხრად უნდა მოგახსენოთ, რომ ეს
ავტორის უფლებას აღარ შეადგენს. მე კენჭს, უყრი სწორედ ამ თქვენ
წინადადებას. ვინ არის მომხრე რომ იყოს შეტანილი მესამე მუხლში
წინადადება პავლე საყვარელიძისა. ეს შესწორება უარყოფილია. მე კენჭს
უყრი მაშ ამ მუხლს (კითხულობს) ეროვნულ უმცირესობათ წარმომად-
გენელს შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედა ენაზე. ვინ არის მომხრე?
არ. ჯეჯეჲ. ჩვენ არვიკით ეხლა, როგორ მოვიქცეთ.

თაყმედობაჲ. თქვენ გნებავთ სიტყვა რეგლამენტის შესახებ? ინებეთ.
არ. წერეთელი. (ს. დ.) მე გგონია, ბატონებო, რეგლამენტი არსე-
ბობს იმიტომ, რომ საბჭო არ ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ
ერთი რამ მიიღოს და შემდეგ თვითონვე უარპყოს

ეხლა რა მდგომარეობაში ვართ: შეიძლება მე მომხრე ვარ, რომ
ეს შესწორება მივიღოთ და ამას მივცე ხმა, მაგრამ მე არ ვიცი რა
მდგომარეობაშია ეხლა მესამე მუხლი. მიღებულია თუ არა. თუ მიიღებთ
ეხლა შესწორებას და შემდეგ მიღებული იქნება აგრეთვე მუხლის ჩამო-
ხსნა, — რა მდგომარეობაში ჩავარდება შესწორება, მიღებული იქნება
იგი, თუ არა, ამას ვერც ერთი იურისტი ვერ გეტყვი.

შეიძლება შემდეგ საბჭომ მიიღოს ის წინადადება, რომ მუხლი
ჩამოიხსნას, მაშინ მეორე შესწორება კი მიღებული დარჩება. რუსული
თქმულებაა: „Ни головы ни хвоста, одна ноздря“ — შესწორება
დარჩა, მუხლი კი ჩამოიხსნა.

აი ამიტომ მე ვთხოვლობ: ჯერ სულ რადიკალურ მოთხოვნები-
ბას ეყროს კენჭი. თუ საბჭო უარპყოს, მაშინ თავისუფლად შეგვიძ-
ლიან მივცეთ ხმა, ან არ მივცეთ შესწორებას.

თაყმედობაჲ. ეს რატომ მოხდა, რომ მარტო ერთი ცხვირი დარჩა.
რეგლამენტის ბრალია თუ არა?

მე თანახმად რეგლამენტის წესისა უყარე კენჭი. ხელმოვრედ უყრი
კენჭს შესწორებას პავლე საყვარელიძისას, (წერეთელი მე თავს ეკატებ
კენჭის ყრაში).

მომხრე ვახლავთ — 21 წინააღმდეგი — 21 მაშასადამე შესწორება
მიღებულია

შემდეგი წინადადება, თუ არ ეცდები, შემოიტანა საბჭოს წევრმა
ალხაზი შვილმა (ხმები: „ნერტეხი შვილმა“) უკაცრავად — ნერტეხი შვილმა,
რომ აქ ამ სიტყვის მაგიერ „შეუძლიან“ შეტანილი იყოს — „უფლებმა
აქვს“. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? ეს შესწორება უარ-
ყოფილია. ეხლა ნება მომეცით, რომ ამ მუხლს უყარო კენჭი.

წერეთელი. ეს წინააღმდეგობაა. ნება მიბოძეთ
თაყმედობაჲ. უკაცრავად!

წერეთელი. Позвольте мне слово Николай Семенович!

ეროვნული საბჭო, გზ. „საქ. რესპ“ დამატება № 32



თავმჯდომარე. რის შესახებ?

ირ. წერეთელი. რეგლამენტის დარღვევის შესახებ.

საქართველოს
წიგნითმწიფის
კავშირის
პრეზიდიუმი

ორაკლა წერეთელი. ბატონებო! სრულიად არეულია ამ გვარი წესით ხმის მიცემა, შეაძლება მე არსებითად არ ვარ წინააღმდეგი ამ მუხლისა, მაგრამ მე წინადადება შემომაქვს, რომ ის ჩამოგხსნათ და მის შესახებ ცალკე ვიმსჯელოთ. მაგრამ ამ წინადადებას არ უყრით კენჭს. ჩემი წინადადებაა ჩამოგხსნათ და ცალკე შევიმუშაოთ და შემოვიტანოთ. მე არსებითად არ ვეხები ამ მუხლს, შეიძლება იგი მომწონდეს, მაგრამ მე მიზან შეწონილად მიმაჩნია, რომ ეს მუხლი ჩამოგხსნათ, სათანადო კანონის გაკეთებამდე. დროებით ეს განისაზღვრება რეგლამენტით. ჩემი წინადადება უპირველეს ყოვლისა უნდა ყოფილიყო დასმული, და იმიტომ, რომ პირველად არ დაისვა—იგი მთლიანად გაქჭრა.

თავმჯდომარე. იმ წინადადებით, რომელიც შემოიტანა წერეთელმა, იგი მოითხოვდა რომ ეს მუხლი მოიხსნასო. მე როგორ მოვხსნი (წერეთელი. „გადიადოს“) მოხსნა არ იქნება. ჩვენს რეგლამენტში არ არის ეს წესი. რეგლამენტში არის ან უარყოფა ან დთანხმება ან კიდევ კითხვის დაბრუნება, შენი კირიმი. რეგლამენტში ნათქვამია, რომ რომელ ფასიზშიც უნდა იყოს კითხვის განხილვა, შესაძლოა დაისვას საკითხი, რომ ეს საკითხი კვლავ დაბრუნდეს და არა მოიხსნას. თუ არის ეს წინადადება შემოტანილი, მაშინ უნდა ექონიოთ მსჯელობა თორემ სად წავიდეს, რომ მოიხსნას? (მარჯვენა ტაში. სიცილი.) მე მოვასხენებთ, თუ წინადადება ასეთი არის, რომ თქვენ გნებავთ საკითხის სადმე გამგზავრება ამ წინადადების ნებას გაქლევსო რეგლამენტი. (სიცილი.) კეთილ ინებეთ და შემოიტანეთ წინადადება, თუ ეს არ იქნება, მე ნება არ მაქვს, მეტი ძალა არა მაქვს. თუ დამარღვევინებთ რეგლამენტს ეს არ ვიცი, მაგრამ მე ჩემის ნებით არ დავარღვევ. В регламенте порусски сказано—во всякий момент обсуждения вопроса, онъ можетъ быть потребованъ обратно съ извѣстной задачей, съ цѣлю обратной передачи въ комиссию ეს ვახლავთ. თუ გაქვთ ასეთი წინადადება—შემოიტანეთ, რაკი ასეთი წინადადება არ ვახლავთ, მე იძულებული ვარ კენჭი უყარო ამ მუხლს (კენჭის ყრა) მომხრე ვახლავთ №1 წინააღმდეგი 24. მაშასადამე მუხლი ვახლავთ მიღებული.

ირ. წერეთლის წინადადება.

რ. ანტონაძე. (ს. დ.) კითხულობს შენიშენს). წესი ერთ სარგებლობისა და თარგმანისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც შეიმუშავენს საბჭო.

თავმჯდომარე. ვის ნებაჲს ამ შენიშენის ნებაზე სიტყვა. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს წერეთელს.

ორაკლა წერეთელი (ს. დ.) ბატონებო, მე მომხრე ვიყავი იმისა, რომ ეს მუხლი ჩამოგვეხსნა, არ მიგველო და შენიშენში გვეთქვა—„შესაფერი კანონის მიღებამდე ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება განისაზღვრება რეგლამენტით.“

ჩემის აზრით ასე იყო კითხვა დაყენებული. მაგრამ რადგან ვერ შევსძელით ამ აზრის გამოხატვა კენჭის ყრით, ეხლა მიიცი ამ შენიშენით მე მსურს ეს შესწორება შემოვიტანო მანამდის კანონი არ მივი-



ლიათ. აი როგორც აქ სწერია: (კითხულობს) „შესაფერი კანონი ბაზმდგ ეროვნული უმცირესობათა ენის ხმარება განისაზღვრება რეგლამენტით. ამ შენიშვნას რა აზრი აქვს? ეს მაჩვენებელია იმისი, რომ სანამ კანონ პროექტი შემუშავდება, წესრიგი განისაზღვრება რეგლამენტით. ეს ნიშნავს, რომ მთელი ეს კითხვა, რომელიც წარმოდგენილია კანონ-პროექტით შეიძლება რეგლამენტით განისაზღვროს და აქ წინასწარ არავითარ კანონით რეგლამენტი შეზღუდული არ იქნება. ამ შენიშვნელობას ვაძლევ მე ამ შესწორებას და ამიტომ მხარს უჭერ მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი დარჩა. იყოს ეს შესწორება. აი შენიშვნა ასეთი არის.

თავმჯდომარე. გთხოვთ წაიკითხოთ.


ი. წერეთელი. (კითხულობს შენიშვნას) „შესაფერი კანონის მიღებად ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება განისაზღვრება რეგლამენტით“.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა ამ შენიშვნის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ვეშაპელს გრიგოლს.

გრიგოლ ვეშაპელი. (დამ. ერ. დემ.). ბატონებო, ჩვენ მივიღეთ მესამე მუხლი. ეროვნულ — უმცირესობათა წარმომადგენელთ შეუძლიანთ სიტყვის წა მოსთქმა დედა ენაზე პარლამენტში“. ეხლა, როდესაც ბატონი ირაკლი წერეთელი შესწორებით მოდის და ეს შესწორება ეხება იმავე პარლამენტს და ამბობს, რომ პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა უფლების გამოყენება და ხმარება, ცალკე შენიშვნით განისაზღვრება, რეგლამენტით გამოცემულ კანონითო. — ეს არის, შეიძლება მოხერხებულად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უარ ჰყოფა იმ კანონისა, რომელიც ჩვენ მივიღეთ.

ამ საკითხის შესახებ, პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა მიერ თავიანთ ენაზე ლაპარაკის შესახებ, ჩვენ უკვე გვაქვს საკანონო მუხლი. ჩვენ გვაქვს კანონი თუმცა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად მიღებული, მაგრამ ამ კანონის პარაგრაფი, რომელიც ამ საკითხს სწევებს, ამბობს, რომ დედა ენაზე შეუძლიანთ ილაპარაკონ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსო, ეხლა კი, თუ მივიღებთ შესწორებას, რომ ცალკე ახალი კანონი გამოიკემა, რომ რეგლამენტი განსაზღვრავსო, მაშინ შეიძლება რომ ამის ავტორს ჰსუს, ან ალბად იმედი აქვს, რომ დღეს კენჭის ყრა იყო უფრო სხვანაირი, ვიდრე მაშინ, როდესაც რეგლამენტის პარაგრაფით დაკანონებთ იმას, რაც პერსპექტივაში ჰქონდა ბატონი. წერეთელს, როდესაც დღეს იგი წინააღმდეგი იყო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისადმი მართო დედა ენაზე ლაპარაკის უფლების მიცემისა.

მას ტენიკურად ორი პერსპექტივა ჰქონდა. ან გამოგზავნიან ყველას ქართულ ენის ეკოდნეს, ან და გამოგზავნიან ისეთს, რომალითაც დედა ენა არ იციან. პირველი პერსპექტივა ძალიან სათუთაა. მეორე ძალიან მოსაფიქრებელია, — რომ დედა ენაზე გამოიყენონ უფლება ამ ყველა ეროვნულ წარმომადგენლებმა არ შეიძლება იმიტომ, რომ დედა ენა არ ეკოდნებათ. მაშინ ბ. ირ. წერეთელს ეძლევა პერსპექტივაში საშუალება ეს საკითხი სხვა ტენიკით გადაწყვიტოს. ესე იგი ან რომელიმე ფრაქციის წინადადებით, ან და უმცირესობის ცალკე წევრის განცხადებით, ან და შეერთებულ მეუმცირესეთა ერთ მთლიან ინტერნაციონალურ განცხადებით, ჩვენ მოგვთხოვენ ქართული ენა არ ვიცი



ზოგიერთებმა დედა ენაც არ იციან და დემოკრატიული პრინციპი გავალღებთ გვალაპარაკოთ რუსულად.

მაშინ ალბად ალექსევევის ჯარების ორეოლი და უფრო ვაიზრდება ვიდრე დღეს, მაშინ მოლაპარაკება გეგმეპორისა ალექსევეთან ალბად უფრო ნაყოფიერი იქნება, „ნაროდნაია სვობოდა“ ეხოანდელი „რევი“ კადეტების პარტიის შეთავაზების საშუალებით დაუახლოვდება რუსულ „დობროვოლჩესკაია არმიას“ და ალექსევევი უფრო პოლიტიკურად გამოეკვევა და აბა მაშინ ვინ გაბედავს, ყოველშემთხვევაში შემარცხენენი, რომ რუსულ ენაზე ლაპარაკის ვინმე რაზე წინააღმდეგი სთქვამს?

ჩვენ კი დღევ დაგვკანონეთ, ის მუხლი, რომელიც ამას სპობს. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეეძლიათ ლაპარაკი ან ქართულად, ან და დედა ენაზე.

ჩვენ გვიჩვენია უმცირესი ბოროტება, და ეს უმცირეს ბოროტებად მიგვანინა რომ იმათ დედა ენაზე ილაპარაკონ, ამით გაართულებენ ჩვენს მუშაობას, მაგრამ ის სჯობია, იმას ვიდრე ყველა არა ქართველი, რუსულად ალაპარაკდეს, რომელნიც შეეკიდნენ იმათაც, ვისაც დიდი ხანია ამ ენაზე ულაპარაკნია რუსულ პარლამენტში.

თქვენთვისაა, სიტუა გეუთენის საბჭოს წევრს წერეთელს.

ინაგლა წერეთელი. (ს. დ.). ბატონმა გეშაგელმა ერთი საბუთის წამოყენება სცადა.

ის ამბობდა, რომ ეს შენიშვნა წინააღმდეგი იქნება მისამე მუხლისა, იმტომ, რომ აქ უკვე დაკანონებულია დედა ენაზე ლაპარაკის უფლება და რეგლამენტი ამას ალარ უნდა ეწინააღმდეგობოდეს.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ამ შესამე მუხლის მიღებისა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რეგლამენტი მაინც განსაზღვროს ჩვენი დროებითი წესი ენის სარგებლობისა. (ხმა: „რა წესი“).

იმათ შეუძლებლად მიჩნიათ, რომ ეროვნულ უმცირესობათ მოვსპოთ ყოველივე საშუალება გაგვავებინონ თავიანთი აზრი, მაგრამ მათ მაინც უავლად შეუძლებლად მიჩნიათ, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს მიეცეთ უფლება მეორე უმცირესობის ენაზე ლაპარაკისა. (ხმები: „პოო!... გაიგეთ“) დიხ ბატონებო, თუშცა თქვენ მხარი დაუჭირეთ ჩვენ წინადადებას, მაგრამ ალბად იმტომ, რომ ვერ გაიგეთ მისი აზრი. (რევაზ გაბაშვილი. „ებლა გავიგეთ“ ხმა მარჯვნიდან: „აქი გავიგოთ!“) ალბათ ეს წინადადება უფრო შორს მიდის იმ აზრზე რომელიც თქვენ გაიგეთ. მართალია, მესამე მუხლი ანიჭებს დედა ენაზე ლაპარაკის უფლებას, მაგრამ მე მსურდა შენიშვნაში ისეთი აზრი გამომეკვა, რომ რეგლამენტი განსაზღვრავს დროებით ენის ხმარების წესს. ეს არ იქნება ორგანიულ კანონი, მაგრამ იქნება დროებითი წესი და თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, მაშინ ჩვენ ვიპოვით საშუალებას, რომ რეგლამენტით გაუწიოთ ანგარიში ამ მუხლის მდგომარეობას.

ამ მუხლის მიღებით წინასწარ არ არის გადაწყვეტილი მიეცემა თუ არა ეს ავე ამ უფლებას; არც ის არის, რომ უშუალოდ არ მიეცემა.

აი ამ მოსაზრებით ეხელმძღვანელობდით, როდესაც მესამე მუხლის ჩამოხსნის შესახებ შენიშვნა შემოვიტანეთ. ამ მოსაზრებით ეხელმძღვანელობდი, როდესაც მესამე მუხლს დარჩენის შემდეგ შენიშვნა გაუკეთე.



მე ვფიქრობ ბატონებო, რომ ალექსევევის ჯარის სიძლიერე კიბითან მოსატანი არ იყო.

როდესაც ალექსევევის ჯარი არა მარტო ერთ კუთხეს იპყრობდა, არამედ მთელ რუსეთში გაბატონებული იყო, ბევრი დღეს გაბედულად მოლაპარაკე, თითის განძრევისაც არ ფიქრობდა მაშინ, როდესაც ჩვენი ფრაქცია გაბედულად გამოდიოდა და პოლიტიკურადაც ებრძოდა ყოველსაზრივ მის გაბატონებას ამხობდა და დააშო კიდევ.

მაშასადამე, თუ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, მს. დეგლობაში გვაქვს არა ალექსევევის ჯარი, არამედ მშრომელი ნაწილი სხვა და სხვა ერებისა, რომელიც შეიძლება სუსტი იყო არა მარტო ალექსევევის ჯარზე, არამედ, შეიძლება თვით ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებზე.

ამიტომ ჩვენ გვსურს, ჩვენი დემოკრატიული კანონით დაკლდ იყვეს ეს უფლება, ამიტომ მე მხარს უჭერ ამ შენიშვნას და ვამტკიცებ რომ მას არ ეწინააღმდეგება მესამე მუხლი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რევაზ გაბაშვილს. რევაზ გაბაშვილი. (დ. ნ. დ.) ბატონ ბო! მე არ ვიცი ალექსევევის ჯარის შიში აქვს წერეთელს თუ სხვა რისიმე შიში. მაგრამ ჩვენ აქ ვგულისხმობდით, რომ ეს მესამე მუხლი უნდა შემოტანილი იყვეს სწორედ დემოკრატიულ თვალსაზრისით. ეხლა გამოდის მეორე დემოკრატიულ აზრით, რომ ამ მუხლს სწორედ ისეთი შენიშვნა გავუკეთოთ, რომელიც ამ მუხლს დაარღვევს იმავე დემოკრატიულ ლოდიკით. (ვე-შაძელი: „რუსული დემოკრატია“) მე ბატონებო არ ვიცი რა დემოკრატიულ წესით, ბატონ წერეთელის ლოდიკით, თუ მეორე დემოკრატიულ წესით ბ. არსენიძისა—ეს უკვე მიღებული კანონია. მაგრამ მე არ ვიცი რას, ვმყარებით. როდესაც კანონში თქვენ გინდათ შემოიტანოთ ეს შენიშვნა, რომელიც შლის ამ უკვე მიღებულ კანონის მუხლს. თუ ამყარებთ ამ შენიშვნას, მხოლოდ იმაზე, რომ რეგლამენტი განსაზღვრავს,—მაშინ გამოდის, რომ ბ. წერეთლის დემოკრატიულ თვალსაზრისით უნდა საპარლამენტო რეგლამენტი უფრო მაღლა იდგეს, ვიდრე თითონ კანონი.

სეთი შენიშვნა, ვეშაძელის თქმისა არ იყოს, ძლიერ მოხერხებულათ ამბობს, შეიძლება შეაპაროს ისეთი შენიშვნა, რომელიც ძირიანად საბჭოს მესამე მუხლს. ეს ნათქვამი დაწერილია, (კითხულობს) „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედა ენაზე“

ამასთან მიღებულია ბ. საყვარელიძეს დამატებაც, რომ —თუ არ იციან სახელმწიფო ენა, მაშინ ეძლევათ უფლება ილაპარაკონ დედა ენაზეო. ეხლა კი ბ. ირაკლი გვეუბნება უნდა ვააყვთონ ისეთი შენიშვნა რომელიც უფლებას აძლევს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომ ეს კანონი დაარღვიონ რეგლამენტის ძალით.

მე ვიცი, რომ ბ. თავმჯდომარე რომელიც ყოველთვის სასტიკად იცავს რეგლამენტს, მოითხოვს ამ შემთხვევაშიაც რეგლამენტის დაცვას, და ჩვენ წევრებს გვეტყვის, რომ რეგლამენტი დავიცათ.

მე მგონია უნდა მოითხოვოთ, რომ ამ უმცირესობის წარმომადგენლებმაც დაიცვან რეგლამენტი და კანონი, თუ გინდათ, რომ რეგლამენტი კანონზე მაღლა დააყენონ ეს კონტრევოლიუციონურ ძალიანად აღემატება; თუ დაკანონეთ ის, რაც უკვე მიღებულ კანონზე



წინააღმდეგია თუ ამ ტრიბუნლიდან ჩაიღწეო ისეთი უკანონო-
შელიც თქვენ უკვე დააკანონეთ...

პ. ყადაგა. (ს. ფ.) მიღება — იმ შესწორებისა, რომელიც წამოყუ-
ნებულია ირ. წერეთელის მიერ ჩვენ მიუღებლათ მიგვიჩნია. რადგანაც
ეს შესწორება იმ საბით და იგი რედაქციით როგორც არის წარმოდგე-
ნილი უმჯობესად იქნება უარის ყოფა ეხლანა მიღებულ კანონის მე-
შე-შე მუხლისა. ამიტომაც ჩვენ ვერ მივიღებთ და მხარს უჭერთ იმ შე-
ნიშვნას; რომელიც არის წარმოდგენილი კომისიის მიერ, სადაც სწერია,
რომ წესი ენის ხმარებისა განისაზღვრება იმ რეგლამენტით, რომელსაც
საბჭო შეიმუშავებს.

ჩვენ შევეცადეთ დაგვეცა პრინციპი დემოკრატიული, ე. ი. ვამ-
ლევეთ სამშობლო ენაზე ლაპარაკის უფლებას.

ჩვენი ბრალი არ არის თუ ეროვნული უმცირესობანი გამოგზავ-
ნიან ისეთ წარმომადგენლებს, რომელთაც არ იციან დედა ენა და ლა-
პარაკობენ სხვის ენაზე. ისენი ბლაღვენ საკუთარ ხალხს უფლებას, რომ
მელთაც ისინი წარმომადგენენ.

ეს არის ლალიტი იმ დემოკრატიისა იმ ქვეყნისა, სადაც ისინი
ცხოვრობენ. ამიტომ მე შეუფერებლად მიმაჩნია ეს წესი. მათ შეუძლი-
ანთ თავიანთ ენაზე ილაპარაკონ. მხოლოდ, რომ გავიგოთ რის წარმო-
სთქვამენ ან როგორ უბასუბოთ — ამ ტენიკურ მხარეს შეიმუშავებს
რომელიმე კომისია და სათანადო შესწორება შემოტანილი იქნება. ამ
ჯამად მე მხარს დაუჭერ მხოლოდ და მხოლოდ იმ წესს, რომელიც მი-
მართულია და რომელიც დაიცავს ქრმატიც დემოკრატიის ინტერესებს.
ხოლო ისეთ წინადადების მხარის დაჭერა, რომელიც ამგვარი იქნება
თუ იმ გვარი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეწინააღმდეგება იმ ძირიად
კანონს, რომელიც ჩვენ მივიღეთ ეხლანა — მე შეუძლებლად მიმაჩნია.

თავმჯდომარე. კამლათი მოსპობილია. სიტყვ აღარავის ნებაეს. სიტ-
ყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ნ. ანსენიძე. (ს. დ.) უნდა მოგახსენოთ რომ კომისიას სრულებით
არ ჰქონია მსჯელობა იმის შესახებ თუ რას შეიმუშავებს რეგლამენტი
ეს იქნება თქვენი დავალებით. მე კომისიის სახელით არ შემიძლიან რა-
მე მოგახსენოთ.

როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ დებუტატები გადაჯვარებულნი იქნე-
ბიან, თუ დებუტატს, სამშობლო ენა არ ეცოდინება. იქნება რუსი, თა-
თარი თუ ინგლისელი, თუ ქართველი, — ეს ენება შინაგან განწყობას.
მე კომისიის პარით არავითარი გადაჭრილი აზრი არ შემიძლიან მოგახ-
სენოთ; მით უმეტეს რომ ეს არ შედის იმ კომისიის კომპეტენციაში,
რომელსაც კანონპროექტი შემუშავდა. ჩვენ მხოლოდ მივიღეთ, თუ
რა უფლება მიუტოვეთ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელს, რომ
მელსაც უფლება მიეცეთ თავის ენაზე წარმოთქვას სიტყვა. შემდეგ
წარმოდგენილი იქნება, ან მთელი თარგმანი ან და რეზიუმე თუ თქვენ
მოითხოვთ, რომ ეს მიენდოს სარეგლამენტოს კომისიას — ეს თქვენი
საქმეა.

ამ ეამად მე, როგორც მომხსენებელი მხარს უჭერ იმ შესწორებას,
რომელიც წარმოდგენილია კომისიის მიერ.

თავმჯდომარე. ნება მიმოძეთ კენჭი უყარო იმ შესწორებას, რომე-
ლიც წერეთელმა შემოიტანა. ვინ არის წინააღმდეგი? გთხოვთ დსთფა-
ლოთ. ვინ არის მომხრე? (კენჭის ყრა). მომხრე გახლავთ 23; წინააღმ-



დები 34. მაშასადამე შენიშვნა უარყოფილია. მე კენჭს უყრისა? შენიშვნა, რომელიც არსებობდა თავიდანვე, ვინ არის წინააღმდეგი? აი ეს შენიშვნა, რომელშიაც ნათქვამია რომ „წესი ენით სარგებლობისა და თარგმანისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც იმუშავებს საბჭო“. (კენჭის ყრა). მიღებული ვახლავთ.

ეხლა კენჭს უყრი მთელ კანონპროექტს. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? ვთხოვთ დაითვალოთ (კენჭის ყრა). მომხრეა 39; წინააღმდეგი 23.

სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის წინადადება.

თავმჯდომარე. (ჯაჯი ფაღვა). თქვენ რა ვნებავთ?

ა. ფაღვა, აი ამ კანონპროექტის შესახებ.

თავმჯდომარე. აი, ამ კანონპროექტს შეეხება სწორედ წინადადება, რომელიც უნდა გააკეთოს საბჭოს წევრმა ფაღვამ.

ჯაჯი ფაღვა. (ს. ფ.) აი სწორედ, რომ ეს საქმე არ დავიანდეს, სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით, მე წინადადებას ვიძღვები, სათანადო სარეგლამენტო კომისიამ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ის ცვლილებება, რომელიც უნდა იყოს შეტანილი თანახმად ამ კანონისა. (ხმა—„ნუ ჩქარობთ“... გაბაშვილი—*time дальше* *дальше* *будешь...*)

თავმჯდომარე: ვის ნებაგს სიტყვა? სიტყვა არვის ნებაგს. კენჭს უყრი ამ წინადადებას. ვინ არის თანახმა, რომ კომისიამ ეს ცვლილება წარმოადგინოს ერთი კვირის განმავლობაში? წინადადება მიღებულია. ეხლა კრებას ვსურავ.

(კრება იხურება ნაშუადღევს 4 ს. და 25 წუთ.)

რედაქტორი ს. იორდანიშვილი.